გაზეთი ზიგრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

60 თეთრი

ორშაბათი

№134 (1160) 28 დეკემბერი, 2015 წელი

შემდეგი ნომერი გამოვა 2016 წლის 11 იანვარს

გილოცავთ შობა-ახალ წელს

ექსკლუზიური ინტერვიუ სააკაშვილის მამასთან

„წმინდა წყლის ქართველი ვარ!“

გვ. 4-6

როგორ დაიცავს გაყიდვისგან ნიკოლოზ სააკაშვილი „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს“

გაზეთ „ვერსიის“ №133 (1159), 25-28 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ნუგზარ ბოჭორიშვილთან, სადაც გაიპარა ტექნიკური შეცდომა და ნუგზარ ბოჭორიშვილის ფოტოსურათის ნაცვლად, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის №1 ავტობაზის უფროსის, ნუგზარ შამუგიას ფოტო დაიბეჭდა. გაზეთ „ვერსიის“ რედაქცია და ნინო კომახიძე ბოდიშს უხდის ბატონ ნუგზარ შამუგიასა და თბილისის სატრანსპორტო კომპანიას სამწუხარო შეცდომისთვის.

გია ვოლსკი უმრავლესობასთან ღარიბაშვილის ბოლო შეხვედრის დეტალებს ამხელს

გვ. 3

ლია მუხაშავრია: „ოცნებას“ მურუსიძე 2016 წლის არჩევნების გასაყალბებლად სჭირდება!“

უფლებადამცველი ირინა ენუქიძის წმინდანად შერაცხვის იდეით გამოდის და იუსტიციის საბჭოს „გარეცხვას“ ითხოვს!

საახალწლო დისკრიმინაცია

რატომ ხვდება თბილისის არაცენტრალური ქუჩები ახალ წელს განათების გარეშე

გვ. 9

„ირაკლი ღარიბაშვილის მოხსნა არასწორია“

გახლებიან თუ არა რესპუბლიკელები კოალიციის ლიდერები, რატომ არ აქვს გამარჯვების შანსი პაატა ბურჭულაძეს და რა ორ მთავარ საფრთხეზე საუბრობს ნიკა რურუა

გვ. 6

რას მიიჩნევს სოფლის მეურნეობაში ყველაზე წარმატებულ პროგრამად და ვინ იქნება ოთარ დანელიას მევკვლე

გვ. 7

ელიტური პატიმრები

როგორ ხვდება აკრძალული ნივთები ციხეში

გვ. 11

ლია მუხაშავრია: „ოცნებას“ მურუსიძე 2016 წლის არჩევნების გასაყალბებლად სჭირდება!“

უფლებადამცველი ირინა ენუქიძის წმინდანად შერაცხვის იდეით გამოდის და იუსტიციის საბჭოს „გარეკვას“ ითხოვს!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სანდრო გირგვლიანის საქმის სკანდალური მოსამართლე ლევან მურუსიძე 3 წლის გამოსაცდელი ვადით, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მოსამართლედ აირჩიეს. მურუსიძემ 11-დან 10 ხმა მიიღო, აქედან სამი არამოსამართლე წევრი იუსტიციის საბჭოში სწორედ „ოცნების“ ლობირებითაა არჩეული — ევა გოცირიძე, ვახტანგ სოფრომაძე და კახა თორდია. ერთადერთი, ვინც მურუსიძეს მხარი არ დაუჭირა, როგორც მოსალოდნელი იყო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე აღმოჩნდა. მურუსიძის გარდა, საბჭოს წევრებმა ფარული კენჭისყრით 100-დან 61 მოსამართლე შეარჩიეს ვაკანტურ თანამდებობებზე.

ამ გადაწყვეტილებას უკმაყოფილება და მძიმე შეფასება მხოლოდ არასამთავრობოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის კი არა, თავად „ოცნების“ ცალკეული დეპუტატებიდანაც მოჰყვა. იმ სამმა ადამიანმა კი, რომელთა ხმების გარეშე მურუსიძე მოსამართლე ვერ გახდებოდა, „სამართლიანობის აღდგენის მესაფლავეების“ სტატუსი დაიმსახურა. მოგვიანებით, მათ ერთობლივი განცხადება გააკეთეს და აღნიშნეს, მურუსიძის არჩევა არაპოპულარული, მაგრამ ერთადერთი რაციონალური გადაწყვეტილება იყოო. გოცირიძემ, სოფრომაძემ და თორდიამ განაცხადეს, მართალია, მურუსიძეს ხალხის თვალში არასახარბიელო რეპუტაცია აქვს, მაგრამ მოსამართლეთა კორპუსში „გამორჩეული ავტორიტეტითა და პატივისცემით“ სარგებლობს და „უპრეცედენტო მხარდაჭერა“ გააჩნიაო. ამიტომ იუსტიციის საბჭო „მოსამართლეთა უმრავლესობის პოზიციების იგნორირებას“ ვერ შეძლებდა და ამ ახალგაზრდა კაცს, ბატონ მურუსიძეს, რომელსაც „ნაკლოვანებებიც აქვს და ღირსებებიც“, შანსი მივეცითო. ამ სამწლიანი შანსის შემდეგ, მათივე განმარტებით, მურუსიძის უვადოდ გამწესებას ცალკე კენჭისყრა დასჭირდება. მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, თეა წულუკიანმა თანამდებობა დატოვა და თანამშრომლებსაც გამოემშვიდობაო, თუმცა ამ დროისთვის, ეს ინფორმაცია არ დასტურდება ისევე, როგორც მოარული ხმა იმის შესახებ, რომ ექსპრემიერ ღარიბაშვილს სავარძლის დათმობა სწორედ მურუსიძის ლობირების გამო მოუხდა. ლევან მურუსიძის არჩევის დღიდან მოყოლებული, არც პოლიტიკური სპექტრი მოდუნებულა. მეტიც, არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიცია ერთ მაგიდასთანაც ვიხილეთ და გამორიცხული არც ფართომასშტაბიანი, ერთობლივი აქციების დაწყებაა მურუსიძისა და „ოცნების“ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ირაკლი ალასანიას თავისუფალი დემოკრატების წევრმა, იურისტმა დეპუტატმა შალვა შავგულიძემ, რომელიც სტრასბურგში გირგვლიანის საქმის ერთ-ერთი წარმდგენი იყო, განაცხადა, შესაძლოა, მთელი ოპოზიცია უპრეცედენტოდ გაერთიანდესო. საკუთარი პოზიცია არ დამალა პრეზიდენტმაც, რომელმაც სწორედ ამ საბედისწერო კენჭისყრის პარალელურად, გირგვლიანის გარდაცვლილი დედა, ირინა ენუქიძე თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა.

მათ შორის, ვინც მურუსიძის წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა და სხვათა შორის, არა მხოლოდ ამ დღეებში, ყველასთვის ცნობილი უფლებადამცველი, შეწყალების კომისიის წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი, **ლია მუხაშავრიაა,** რომელიც „ვერსიისთვის“ საინტერესო განმარტებებს აკეთებს და აცხადებს, რომ ივანიშვილ-მურუსიძეს შორის შესაძლოა, წინასაარჩევნო გარიგება შედგა, რაც 2016 წელს დაპირისპირების საფრთხის წინაშე დაგვაყენებს:

„პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომ დღეს მურუსიძე მოსამართლეა და სხვა გაცილებითღირსეული კანდიდატები იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწუნა. აშკარა გარიგებასთან გვაქვს საქმე. პირდაპირ ითქვა, რომ ეს გარიგება ბიძინა ივანიშვილთან შედგა. იყო ხმებიც, რომ ირაკლი ღარიბაშვილი სწორედ მურუსიძის ლობირებას შეეწირა. ვფიქრობ, როცა ხელისუფლებამ პოლიტიკური რეიტინგები ნახა და მიხვდა, რომ საქმე ცუდად აქვს და არჩევნებს ვერ მოიგებს, მისი გაყალბება გადაწყვიტა. ეს კი აუცილებლად გასაჩივრდება სასამართლოში და თუ იქ „ოცნებას“ მურუსიძე ეყოლება, თავი ქუდში ექნება. მურუსიძე ერთ უკანონობასაც არ აღიარებს დავის დროს — „ოცნებას“ ამ გზით უკვე დაგეგმილი აქვს არჩევნების გაყალბება. მურუსიძის არჩევა კატასტროფული მოვლენაა ყველა იმ ანგარიშისთვის, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო დონეზე სჭირდება. ეს გადაწყვეტილება „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ პოლიტიკურ კი არა, დიდ საერთაშორისო ფასადაც დაუჯდება. ამ რისკზე წასვლა კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუკი ივანიშვილი და მისი გუნდი მართლა არჩევნების გაყალბების გზას აირჩევენ, რასაც მურუსიძისნაირი მოსამართლის წყალობით, იოლად დააკანონებენ. ეს კაცი ყველა იმ ძალის „ნოტარიუსი“ გახდება, ვინც მას მოიმსახურებს. მას კარგად ესმის, რომ ციხეს ვერ გადაურჩება, თუ ყველა ხელისუფლების კვერისდამკვრელი არ იქნება. ამიტომ მურუსიძის ფენომენი გასაგებია. უფრო საშიში აქ ისაა, რომ ხელისუფლება ამ გეგმით ისეთ დიდ დესტაბილიზაციას მოიტანს პოსტსაარჩევნოდ, რაც შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებასა და ომშიც კი გადაიზარდოს. საზოგადოება არ მოითმენს საარჩევნო კანონისა და საარჩევნო უფლების თავზე გადახევას და ვერ მიიღებს იმ გამარჯვებულს, ვინც მას არ აურჩევია. ვფიქრობ, ოპოზიციაც ხედავს ამ საფრთხეებს და მისი გაერთიანებაც საკმაოდ ლოგიკური და პრაგმატულია. ოპოზიციას ისიც ესმის, რომ სასამართლოში წასვლა, შედეგების გაყალბების შემთხვევაში, აზრს კარგავს. კიდევ უფრო მაწუხებს საზოგადოების პოზიციაც — ხალხს სამართალი აქ, ამ ქვეყანაში სჭირდება, რომ ყველა საქმეზე ჰააგის ტრიბუნალში არ ირბინოს. შემთხვევითი არც პრეზიდენტის ღირსეული ნაბიჯი იყო, როცა ირინა ენუქიძე თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. ეს ქალი ჩვენი დროის ეროვნული გმირია და მთელი ქალთა, გენდერული თანასწორობის, უფლებადამცველთა მოძრაობა მისი სახელის ქვეშ უნდა გაერთიანდეს და ალბათ, ეს ქალბატონი ეკლესიამ წმინდანად უნდა შერაცხოს. პრეზიდენტის ეს ნაბიჯი გზავნილი უნდა ყოფილიყო უდღეური იუსტიციის საბჭოსთვის, მაგრამ ამ დაყრუებულებმა ვერაფერი შეისმინეს. ვფიქრობ, ყველაფერი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისკენ მიდის, საზოგადოება კი მხარს იმას დაუჭერს, ვინც სამართლიანობის აღდგენასა და მართლმსაჯულების სისტემის გაწმენდას დაგვპირდება. იუსტიციის საბჭოს ეს შემადგენლობა უნდა გაირეკოს და ამისთვის ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება საჭირო. ეს იქნება არარევოლუციური, გამართული სასამართლო მექანიზმი“.

ლია მუხაშავრია იუსტიციის საბჭოს მიერ დაწუნებულ მოსამართლეებს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას სთავაზობს და მათ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, სასამართლო დავებში დახმარებას ჰპირდება.

რაგბის ახალი მოედანი და ახალგაზრდული ცენტრი აშენდება

დედაქალაქის მერია 2017 წლის რაგბის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატისთვის რაგბის ახალი მოედნის მშენებლობას გეგმავს. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა:

„2016 წელს დავიწყებთ რაგბის ახალი მოედნის მშენებლობას 2017 წლის რაგბის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატის სამასპინძლო. აღნიშნული მოედანი რაგბისტების ახალი თაობების აღზრდას მოემსახურება“.

მისივე თქმით, სტადიონის მშენებლობისთვის დედაქალაქის მერიის ბიუჯეტიდან 6 მლნ ლარი გამოყოფა.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ მერია გეგმავს ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობას და ამისთვის ბიუჯეტში 3 მლნ ლარია გათვალისწინებული.

მერია განათლებაზე 2015 წელთან შედარებით 2 მლნ 500 ათასი ლარით მეტს დახარჯავს



თბილისის მერია 2016 წელს განათლების ხელშეწყობისათვის 2 მლნ. 500 ათასი ლარით მეტს დახარჯავს. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა:

„დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია განათლება და 2016 წლის ბიუჯეტში განათლების ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 95,1 მლნ ლარი, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2 მლნ 500 ათასი ლარით მეტია“.

მისივე თქმით, 106 800 ლარით გაიზარდა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა.

„პროგრამას დაემატება ქალაქ თბილისის მერიის ხელოვნების სკოლებში იძულებით გადაადგილებულ მოსწავლეთა უფასო სწავლება“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

დედაქალაქში მეტროს სადგურების რეაბილიტაცია იგეგმება

დედაქალაქში 7 მეტროს სადგურების რეაბილიტაცია იგეგმება, ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა და დასძინა, რომ მეტროს სადგურების რეაბილიტაციისთვის დედაქლაქის ბიუჯეტიდან 7 მლნ. ლარი გამოიყოფა.

„2016 წელს დედაქალაქში 7 მეტროს სადგურის კაპიტალური რეაბილიტაცია იგეგმება. გათვალისწინებულია მეტროს სადგურის — ვაგზლის მოედანი-1, მარჯანიშვილი, რუსთაველი, თავისუფლების მოედანი, ავლაბარი, ვარკეთილი და ახმეტელის თეატრი კაპიტალური რეაბილიტაცია“.

დედაქალაქის საკრებულომ 2016 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტი 815 მლნ 900 ათასი ლარით განისაზღვრა და პრიორიტეტებად კვლავ ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ასევე, გამწვანებითი ღონისძიებები რჩება.

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

რისი ეშინია „ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარეს

29 დეკემბერს, პარლამენტი ახალ პრემიერ-მინისტრად გიორგი კვირიკაშვილს დაამტკიცებს. კვირიკაშვილმა მინისტრთა კაბინეტის უცვლელი შემადგენლობა უკვე წარადგინა, თუმცა დაანონსა, გარკვეული ცვლილებები მაინც იქნებაო. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ამოცანა საკუთარ რიგებში სრული შემადგენლობის თუ არა, 75 კაცის მობილიზაციაა, რათა პრემიერის დამტკიცების პროცედურამ გაუთვალისწინებელი შემთხვევების გარეშე ჩაიაროს. მანამდე კი, მთელი შაბათ-კვირის განმავლობაში, პარლამენტში კულუარული თუ ოფიციალური შეხვედრები მიმდინარეობდა, მათ შორის, „ოცნების“ 47-კაციანი ფრაქციის ლიდერის, გიორგი ვოლსკის კაბინეტში. „ვერსიის“ რესპოდენტი სწორედ გიორგი ვოლსკია, რომელიც მისი და ირაკლი ღარიბაშვილის საუბრის დეტალებს გვიამბობს. ამასთან, იმასაც გვიმხელს, სად ხედავს ექსპრემიერის ადგილს და რესპუბლიკელების განცხადებასაც პასუხობს.

გია ვოლსკი უმრავლესობასთან ღარიბაშვილის ბოლო შეხვედრის დეტალებს ამხელს

— პრემიერის შეცვლა სახელმწიფოში უმტკივნეულოდ უნდა ხდებოდეს, რადგან არ არსებობს ქვეყანა, სადაც ნებისმიერ პოზიციაზე სარეზერვო კადრი არ არის. გიორგი კვირიკაშვილი გამოცდილებით სწორედ ის ადამიანია, ვისაც ამ პოსტის დაკავება შეუძლია, ამიტომ ამ თემაზე დიდი ბჭობა და დავიდარაბა არ ყოფილა.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის წასვლას, ნოემბრის ბოლოს, ეს მოსაზრება უკვე არსებობდა, მაგრამ ნამდვილად არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ ეს მხოლოდ ირაკლის აზრი იყო, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან გავლილი არ ჰქონდა. ცდილობენ, დანერგონ არასწორი შეხედულება, თითქოს ივანიშვილი სხვა პლატფორმაზე დგას, ღარიბაშვილი – სხვაზე, რაც არასწორია, რადგან ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, მათ ყოველთვის განსაკუთრებული სიახლოვე აქვთ. ივანიშვილის მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში უტრირებული და ჩრდილოვანი ფორმითაა წარმოდგენილი. რეალურად, პირადად მე, არასოდეს მითქვამს მისი რჩევებისა და მოსაზრებების მოსმენაზე უარი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი აზრები ხშირად ისედაც ემთხვევა ერთმანეთს. მეტიც, ფრაქციისა და უმრავლესობის სხდომაზე სწორედ მე დავაყენე საკითხი, რომ ივანიშვილი თუნდაც იმ შეხვედრის მონაწილე ღიად ყოფილიყო, რომელზეც საარჩევნო კოდექსის საკითხს განვიხილავდით. ვინმეს რომ არ ეთქვა, კაცი შუშის სასახლეში ზის და ხალხს იქედან მართავს, კოალიცია კი მის გამოძახილს იმეორებსო, სწორედ ივანიშვილის თვალწინ გავიარეთ ყველაფერი და მისი აზრიც ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ღარიბაშვილის.

ზოგადად, პირველი ექსპრემიერი, მეორე და ყოფილი პრეზიდენტი ის ჯგუფია, რომლის რჩევებიც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. უბრალოდ, ერთმა რგოლმა, ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა არ გაამართლა, რომელიც დღესაც დესტრუქციულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს განაგრძობს.

— ეს კითხვა სულ ისმის და ახლაც გამიჩნდა: ამ ქვეყანაში რამე გადაწყვეტილება ივანიშვილის გარეშე მიიღება და რატომ შეჩერდა არჩევანი კვირიკაშვილზე და არა კალაძეზე?

— როცა ღარიბაშვილმა თქვა, რომ საჭიროა, გამოჩნდეს ახალი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილმა ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა ნამდვილად მიიღო.

— დაეთანხმა თუ აიძულა?

— ეს გადაწყვეტილება უნისონში მიიღეს. მათი საუბრის შინაარსი დეტალურად ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ყველანაირ იძულებას გამოვრიცხავ. ჩვენს გუნდში არც ყველაფერზე დამთანხმებელი და კვერისდამკვრელია ვინმე, ყველა გადაწყვეტილება შეთანხმებულად მიიღება.

რაც შეეხება კახა კალაძეს, მისი სფერო, ენერგეტიკა ისედაც დიდი ავტონომიაა და პრემიერის სავარძლის გამო, ვერ ჩამოშორდებოდა. მას ისედაც საგანგებო, სტრატეგიული მნიშვნელობის სფერო აბარია. თავის დროზე სწორედ ამიტომ ჩამოქვეითდა ვიცე-პრემიერობიდან ირაკლი ალასანია, რომელსაც ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის სფერო, თავდაცვა ებარა. არ შეიძლება, თავდაცვის მინისტრი ვიცე-პრემიერის პოსტზეც გაიჭრას. აი, საგარეო საქმეთა მინისტრი კი ამას შეძლებს. ეს ჯერ კიდევ მაშინ ვთქვი, როცა კვირიკაშვილმა ეკონომიკის მინისტრის პოსტიდან საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში გადაინაცვლა. მაშინ არავის გასჩენია აზრი, რომ კვირიკაშვილი იმ ურთიერთობებს „დააგროვებდა“, რაც ევროკავშირთან, აშშ-სთან სჭირდება. დღეს ეს ურთიერთობები უკვე არსებობს და რამდენიმე თვის წინ მიღებული ეს გადაწყვეტილებაც იმას ადასტურებს, რომ მისი გაპრემიერება ნაუცბათევი არ ყოფილა. ასევე, პრინციპული მოსაზრება მაქვს მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებით — ვფიქრობ, ერთეული შემთხვევების გარდა, ძირითადი ჯგუფი არ უნდა შეიცვალოს. ამას გიორგი თვითონ გადაწყვეტს, მაგრამ საქმე 7 მინისტრის შეცვლამდე ნამდვილად არ მივა.

— ანუ, მინისტრთა კაბინეტის ნახევრის შეცვლის უარყოფით, ვადამდელი არჩევნები გამორიცხეთ. რჩება კიდევ ერთი ბერკეტი: თუ პარლამენტი სამჯერ ჩააგდებს პრემიერის კანდიდატურას. ამასაც ბოლომდე გამორიცხავთ?

— არაფერი გამომირიცხავს, უბრალოდ, ჩემი აზრი გითხარით. ამის ვერანაირ სურვილსა და საჭიროებას ვერ ვხედავ. კვირიკაშვილთან დაკავშირებით ყველა პოზიტიურადაა განწყობილი, კრიტიკოსებიც კი.

— აღარაა მარგველაშვილი ოპოზიციაში?

— ალბათ, ეს ის საკითხებია, სადაც მეტი ლოიალობა და მოქნილობაა საჭირო. სხვათა შორის, უმრავლესობასთან შეხვედრაზე ღარიბაშვილმა ბოდიში მოიხადა, რომ დეპუტატებმა ყველაფერი ეს წინასწარ არ იცოდნენ, თუმცა ეს იმით ახსნა, რომ შესაძლოა, სხვადასხვა ჩასაფრებულ პოლიტიკურ ჯგუფს ყველაფერ ამისგან სკანდალი შეექმნა. ყური მოვკარი მის მოსაზრებებს მინისტრთა გუნდის ცვლილებასთან დაკავშირებით. ეს არ ნიშნავს, რომ მე და ირაკლის ოფიციალური მოლაპარაკებები გვქონდა ამ საკითხზე, უბრალოდ, მისი ხედვაა, რომ ერთობა უნდა შევინარჩუნოთ. გამოვრიცხავ, კვირიკაშვილმა რაიმე გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციის გარეშე მიიღოს.

— ეს ჩასაფრებული პოლიტიკური ჯგუფები კოალიციაშიც გყავთ?

— სიმართლე გითხრათ, პოლიტიკური ცხოველი არ ვარ. ამაში ცუდსაც ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, ჩემთვის ეს ახალი სფეროა, რადგან 90-იანი წლებიდან დიპლომატიაში ვიყავი, თუმცა საკმაო გამოცდილება დამიგროვდა, რომ პროცესები სწორად შევაფასო. ჩასაფრებულ ჯგუფებზე ვსაუბრობ, იმათ ვგულისხმობ, ვინც მთელი თავგანწირვით იბრძვის პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე დასარჩენად. საუბარია ერთკაციან არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებზე, რომელთა დამცირება არ მინდა. მათი ლიდერები ჩამოყალიბდნენ ძალიან კარგ ექსპერტებად საარჩევნო, პოლიტიკური ინტრიგების თემაზე და ა.შ. ვგულისხმობ ყველას, ვინც შუალედურ არჩევნებს გამოუცხადა ბოიკოტი. ეს ბოიკოტი საერთაშორისო პოლიტიკური წრეების ყურადღების მიქცევას ისახავდა მიზნად — ვითომ, აქ დიდი სახელმწიფო კონსენსუსი შედგა. ყველაფერ ამის სათავეში ჩადგომას მარგველაშვილი ცდილობდა, თუმცა წარუმატებლად. მეტ-ნაკლებად, რაღაც ნიშა ისევ პატრიოტთა ალიანსმა და ბურჯანაძის პარტიამ შეინარჩუნეს.

— ყველა ვარაუდობს, რომ 2016 წელს ეს ორი პარტია ბარიერის გადალახვას, თუმცა უკვე ეჭვებიც ჩნდება, რომ ამას თავად „ოცნებაც“ შეეცდება.

— არავითარი მოლოდინი არ მაქვს, რომ ისინი ბარიერს გადალახავენ. მით უმეტეს, ორივე ძალიან შორს დგას „ოცნების“ სტრატეგიული ხედვებისგან.

— რესპუბლიკელებიც მიგაჩნიათ ჩასაფრებულად, მით უმეტეს, იმ განცხადების ფონზე, რომ ღარიბაშვილის ბედი არ აინტერესებთ?

— მათთან ამ თემაზე საუბარი საჭიროდ არ ჩავთვალე. ეს განცხადება ჩემი პირადი ემოციებისგან ძალიან შორსაა და აბსოლუტურად მიუღებელია. ისე, ლევან ბერძენიშვილის ეს გამონათქვამი არ მინდა, მთელ რესპუბლიკურ ფრაქციას მივაწერო. მე, როგორც პიროვნებას და არა ფრაქციის თავმჯდომარეს, ეს არ მომწონს, მაგრამ მათ არ სწყინთ ჩემი კრიტიკა. არ მოგწონს, ნუ მოგწონს, შენთან სიყვარული და ძმაკაცობა არც გვინდა, ეს მხოლოდ საქმიანი თანამშრომლობაა. არ ვფიქრობ, რომ ამ აზრს პარტიის შიგნით და მომხრეებს შორის ყველა იზიარებს, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ თუ ჩვენ ერთად ვართ, ვთქვათ, მოწმეების დაკითხვის კანონთან მიმართებაში, სწორედ ესაა კოალიციურობა და არ მოეთხოვებათ პოზიტიური განწყობა ღარიბაშვილის პერსონის მიმართ. ვფიქრობ, ეს განცხადება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ისევე მიუღებელია, როგორც ჩემთვის. კოალიციურობა, მათი გადმოსახედიდან, წმინდა პრაგმატული დამოკიდებულებაა კონკრეტულ კანონპროექტებზე და სხვა არაფერი.

— პრინციპში, ეს მიდგომა სწორიცაა, მაგრამ დაუჭერენ თუ არა რესპუბლიკელები მხარს კვირიკაშვილსა და მინისტრთა კაბინეტს?

— ვადასტურებ, რომ ისინი „ოცნებასა“ და სხვა ფრაქციებთან ერთად, კვირიკაშვილს მხარს დაუჭერენ.

— ყველა მაინც მკითხაობს, სად წავიდა ღარიბაშვილი, რომელმაც პარტიაც დატოვა. ბატონო გია, ამბობდით, ჩვენგან შორის მაინც არ იქნებაო. მის მიერ პარტიული თანამდებობის დატოვების მერეც ასე ფიქრობთ?

— მეშინია, ჩემი მოსაზრება ფრაქციისა და კოალიციის შიგნით განხილულ აზრად არ მიიღოთ. ასე არ არის, ჩემს პირად შეხედულებას ვამბობ — ირაკლი თავისი გამოცდილებით, განათლებით, ენების ცოდნითა და თუნდაც ემოციური მუხტით, საკმაოდ წარმატებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობებში. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ის სათავეში რომელიმე მნიშვნელოვან საერთშორისო მისიას ჩაუდგება, ან თუნდაც კერძო, ან ნახევრადკერძო სახელმწიფო დაწესებულებას.

ვერსიანიუსი

გიორგი ოქროპირიძეს 20-წლიანი პატიმრობა შეეფარდა

გიორგი ოქროპირიძეს ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე საბოლოო სასჯელად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე ეკა არეშიძემ გამოაცხადა. ნაფიცმა მსაჯულებმა ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ ვერდიქტი 26 დეკემბერს დაადგინეს. ოქროპირიძე მსაჯულებმა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში უდანაშაულოდ სცნეს. განზრახ მკვლელობაში კი დამნაშავედ აღიარეს. ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება 10 ხმით 2 წინააღმდეგ მიიღეს. ოქროპირიძის მიმართ ვერდიქტი ნაფიცებმა მეორე დამატებით ექვსსაათიან დროში მიიღეს. ჯამში, მსაჯულები 4 საათზე მეტხანს თათბირობდნენ. ლაშა მახარაძე აბაშიძის ქუჩაზე 2014 წლის 2 სექტემბერს მოკლეს.

„ვერსიანიუსი“

2016 წელს თბილისში ბინას 500 დევნილი ოჯახი მიიღებს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სოზარ სუბარმა თბილისში, დოდაშვილის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ კორპუსში 33 დევნილ ოჯახს ბინების გასაღებები გადასცა და ახალმოსახლეობა მიულოცა.

ბინების გადაცემის ღონისძიებას, ასევე, დაესწრნენ მინისტრის მოადგილეები: გრიგოლ გიორგაძე, შოთა რეხვიაშვილი და მამუკა ცოტნიაშვილი. დოდაშვილის ქუჩა 18/22-ში მდებარე კორპუსი სამშენებლო კომპანია შპს „ბანმა“ ააშენა. მენაშენეებისაგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვას სამინისტრო კონკურსის წესით ახორციელებს. დოდაშვილის ქუჩაზე არსებული 33 ბინიდან 4 ერთოთახიანია, 13 — ოროთახიანი და 16 — სამოთახიანი. 2016 წელს თბილისში ბინას კიდევ 500 დევნილი ოჯახი მიიღებს.

„ვერსიანიუსი“

„წმინდა წყლის ქართველი ვარ!“

ვანო პავლიაშვილი



მოკლედ: ესეც შემოდგომის სეზონის ბოლო არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ, თან განსაკუთრებულად არაჩვეულებრივი, რამეთუ ჯერ ერთი, ასპროცენტიანი ექსკლუზივია, მეორეც, პრემიერის გადადგომით გამოწვეული სკანდალის მიუხედავად, ახალი წლის წინ, მთელი თუ არა, ნახევარი ქვეყანა სწორედ ჩემი და ჩემი რესპოდენტის დიალოგზე ილაპარაკებს. ერთი ჩემი მეგობრისა არ იყოს, ალბათ, სხვებიც გამკიცხავენ, მაგასთან რაღა გინდოდაო, მაგრამ რას დავეძებ?! — ჟურნალისტიკა ხომ ავანტიურაა. ჰოდა, წავედი ავანტიურაზე და Facebook-ში მივწერე, თუ გახსოვართ, ესა და ეს ვარ და წინასაახალწლო ინტერვიუ „გავაკეთოთ“-მეთქი. დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ პოლიტიკაზე სიტყვას არ „დავძრავდი“... მერე, შეხვედრის დროის დასაზუსტებლად, დავურეკე, ამიხსნა, გორგასლის №9-ში მოხვალთ და მიხვდებით, „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“ რომელია — გარედან შენობა გასარემონტებელიაო... სხვათა შორის, საუბარს რომ მოვრჩით, განყოფილებები დამათვალიერებინა — სხვანაირად არ გაიგოთ და, ყველაფერი აკურატულადაა მოწყობილი... ერთი სიტყვით, თუ ვერ მიხვდით, გეტყვით: ჩემი მასპინძელი „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის“ გენერალური დირექტორი, სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მამა ნიკოლოზ სააკაშვილია, რომელმაც საუბარი პარალელურ რეჟიმში ჩაიწერა, თან ამიხსნა, რამდენიმე წელია, ყველა ინტერვიუს მეც ვიწერ და მერე ვაანალიზებო. არ გამიპროტესტებია, თუმცა ძველმოდური ფირჩამწერი დავუწუნე... გულიანად გაეცინა, სამწუხაროდ, ძველისძველი ბევრი რამ მაქვსო... კედელზე შავ-თეთრი ფოტო ჰკიდია, მეუბნება, ეს ჩემთვის მნიშვნელოვანიაო და ძველ ანუ იმ ამბავს მიყვება, როცა მამამისი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი იყო, სასწავლებლის ტერიტორიის გამწვანება დაუწყია და ხეების დარგვაში თვითონაც მონაწილეობდა, მაშინ ალბათ, 6-7 წლის ვიქნებოდიო...

— ახლა რამდენის წლის ხართ, ბატონო ნიკოლოზ?

— 72-ის ვხდები.

— არ გეტყობათ...

— შინაგანად ნამდვილად ენერგიულად ვარ, ბევრი იდეა და გეგმაც მაქვს. მე ვარ კაცი, რომელსაც ერთ ადგილას ყოფნა არ შეუძლია — უნდა ვიმოძრაო და საქმე ვაკეთო.

— როგორც ჩანს, მიშა ამ კუთხითაც გგავთ. ისე, რომ გიყურებთ, მგონია, მიშა მელაპარაკება...

— არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, მე უფრო ადრე ვიყავი... მამაჩემი შაბათობებს აწყობდა — სტუდენტები გამოყავდა და ხეებს რგავდნენ. აი, დღეს რომ მედქალაქში დიდი ნაძვები დგას, ერთ-ერთს, თავის დროზე, მიწა შეიძლება, მე მივაყარე.

— მას მერე ხე დაგირგავთ?

— ზაჰესში დიდი ხანია, ნაკვეთი მაქვს, რომელიც ჩემი ხელითაა გამწვანებული, ძალიან მიყვარს და შაბათ-კვირას ძირითადად იქ ვატარებ. წელს ორი ნაძვი დავრგე. ამას წინათ, სანაპიროზე, ერთი ძალიან ლამაზი ნაძვი ვნახე, მაგრამ მეძვირა და თავი დავანებე, თორემ იმ ნაძვსაც წავიღებდი და ჩემს ნაკვეთში დავრგავდი.

— როგორ, რაღაცები თქვენც გეძვირებათ ხოლმე?

— მეც ისე ვცხოვრობ, როგორც — ყველა.

— ანუ, ფინანსური პრობლემები გაქვთ?

— იცით, რა? — მოთქმა-გოდება რომ დავიწყო, სწორად არ მიმაჩნია, მაგრამ როგორც ყველა ნორმალურ და პატიოსან ოჯახს, პრობლემები მეც გამაჩნია.

— ბატონო ნიკოლოზ, კანონმორჩილი ადამიანი ვარ და...

— მეც ძალიან კანონმორჩილი ვარ...

— ჰოდა, რაკიღა შევთანხმდით, რომ პოლიტიკაზე არ ვილაპარაკებთ, ამიტომ პოლიტიკაზე არაფერს გკითხავთ, არადა, ერთობ პოლიტიზირებული რაიონიდან — დედოფლისწყაროდან ვარ...

— ჩემთვის ყველა რაიონი საქართველოა.

— რასაკვირველია, მაგრამ ქართული ანდაზა გამახსენდა, კაცმა ცხოვრებაში ერთი ხე უნდა დარგოს და კარგი შვილი გაზარდოსო... ხე დაგირგავთ, შვილებზე რას იტყვით?

— ცოტა თავისებური ვარ: არიან მშობლები, რომლებიც შვილების ქება-დიდებას იწყებენ, ყველაზე გენიოსები არიანო, მაგრამ ეს სწორად არ მიმაჩნია. ღმერთმა გაუმარჯოს და საქართველოში გენიოსობა გამრავლდეს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოში ყველა მცხოვრები თავისებურად ნიჭიერია, მაგრამ შვილების ქებას ნამდვილად არ დავიწყებ, მათი არსი, მნიშვნელობა, გაზრდის, ნიჭისა და საზოგადოებაში ადაპტაციის ხარისხი მათმა გარემოცვამ უნდა შეაფასოს. სამი შვილი მყავს, გითხარით, რომ ქებას არ დავიწყებ, თუმცა შინაგანად ჩემი განწყობა, რასაკვირველია, მაქვს და აღტაცებასაც გამოვხატავ, მაგრამ შეიძლება, ეს მათაც არ დავანახო.

— ბოლო ათი წლის განმავლობაში, თქვენი ვაჟების, განსაკუთრებით, მიშას გამო, ყურადღების ცენტრში იყავით და საზოგადოების ნაწილის აგრესია თქვენსკენაც იყო მომართული. შვილებისთვის არ გითქვამთ, ხალხს სალაპარაკოს რატომ აძლევთო?

— ასეთი აგრესია ნამდვილად სასაცილოა იმიტომ, რომ ხომ ვიცი, რეალურად რა არის. ყოველთვის თავმოყვარე ვიყავი და პირველ ხანებში რაღაც-რაღაცები გულზე მხვდებოდა. ამაში, რასაკვირველია, მედიას არ ვადანაშაულებ, ვიღაც გამოდის და თავისუფალი სიტყვის სახელით, რასაც უნდა, იმას ამბობს, თან ენას ძვალი არ აქვს, მაგრამ ვთვლი, რომ ჭორი პროვინციალობის დამახასიათებელია, თუმცა პროვინცია პროვინციალობას არ ნიშნავს.

— გეთანხმებით, რადგან ვაჟა-ფშაველაც პროვინციიდან იყო...

— ვაჟაც და ბევრი სხვა დღევანდელი და გუშინდელი მოწინავე მოღვაწეც. პროვინციალობა სხვანაირი ცნებაა. მკითხეთ, ჭორები ჩემზე როგორ მოქმედებდა. ჩემი საქმით ვარ გართული და ჩემი, ჩემი ოჯახის თითოეული წევრის კრედო ასეთია: ვაკეთოთ საქმე! ეს მაღალფარდოვანი ფრაზა არაა. პირადად ჩემს მაგალითზე ვიტყვი, რადგან სხვისი პირით არ ვლაპარაკობ და არც ვილაპარაკებ. ჩემი პირადი კრედოა: ვაკეთო საქმე და დანარჩენი, მაპატიეთ და, დაიკიდე! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ პლეხანოვზე ვარ გაზრდილი და შეიძლება, ეს ფრაზა გამოვიყენო. ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ, მე ხომ ჩემს საქმეს, კეთილ საქმეს ვაკეთებ. ცხოვრებაში ცუდი არაფერი გამიკეთებია, ბიზნესში არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა სწორად გაიგეთ, ჩემთვის ბევრი „აუკიდიათ“, რომ საირმე ჩემია, წყალტუბოს ნაწილიც ჩემია და რაღაც კურორტი ლარად მომცეს, ასევე „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტიც“, რომელიც ჩემი პირმშოა — აქ დირექტორად 1998 წელს დავინიშნე, მე აღვადგინე და დღესაც სახელმწიფოსია — 100%-იანი მეწილე ეკონომიკის სამინისტროა, რომელმაც ეს დაწესებულება საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანა.

— ესე იგი, ბალნეოლოგიურ კურორტს გიყიდიან?

— რას ნიშნავს, მიყიდიან? ვერ გაიყიდიან იმიტომ, რომ შევარდნაძის პერიოდს გამოვგლიჯე — როცა აქ დავინიშნე, პრაქტიკულად, გაყიდული იყო და ქვეყანას დავუბრუნე, ამით ვამაყობ! სხვათა შორის, დღესაც არ ვიცი, აქ რატომ დამნიშნეს...

— ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ მიშა „მოქკავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარე იყო...

— არა, არა, მიშა პოლიტიკას იწყებდა და არაფერ შუაში იყო. მე ვიყავი, ვარ და ვიქნები ნიკა სააკაშვილი! სწორად გამიგეთ, რას ვგულისხმობ: მთელი ცხოვრება მამისა და შვილის გარეშე გავიარე, თუმცა მამა მყავდა ღირსეული და შვილებიც ღირსეული მყავს! ყოველთვის ვიჭყლიტებოდი — იმის მამაა, იმის შვილიაო, მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ: მე ნიკოლოზ სააკაშვილი ვარ!

— თუკი ბალნეოლოგიური კურორტი საპრივატიზაციო ნუსხაშია და გაიყიდება, რას გააკეთებთ?

— უნდა დავარწმუნო ხელისუფლება, რომ ეს არ შეიძლება. სხვათა შორის, გაყიდვის კამპანია, დაახლოებით, ერთი წლის წინ დაიწყო — აქ ვიღაცები მოდიოდნენ. ის კატეგორია არ ვარ, ბაირაღი დავიჭირო და ქუჩა გადავკეტო.

— არადა, ამ პროტესტს დიდი რეზონანსი ექნება!

— არავითარ შემთხვევაში! თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, კათედრის გამგე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამ დაწესებულების გენერალური დირექტორი ვარ. არ ვაზვიადებ: მე საქართველოს კურორტოლოგია შევუნარჩუნე! მე რომ არ ვყოფილიყავი და 1998 წელს ამ დაწესებულების შენარჩუნებისთვის ბრძოლა არ დამეწყო, ეს დაწესებულება დღეს აღარ იარსებებდა! ბევრი კურორტის ხელმძღვანელი რჩევისთვის მოგვმართავს. იცით, რა არის? — შეიძლება, ბევრი ფული გქონდეს, მაგრამ საგანი არ იცოდე...

— ბალნეოლოგიური კურორტი სახელმწიფო დოტაციაზეა?

— არასოდეს, არანაირი დოტაცია არ მქონია! საერთოდ, საინტერესო ფორმა გვაქვს: 100%-იანი სახელმწიფო დაწესებულებაა — ჯანდაცვასაც არ ეკუთვნის, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და თვითდაფინანსებაზე ვართ.

— მიშას დროსაც ასე იყო?

— დიახ, თუმცა ტელევიზიით რამდენჯერმე მოვისმინე, რომ მთავრობამ რამდენიმე ასეული ათასი გადმომირიცხა, მაგრამ ტყუილია — არც ერთი მთავრობისგან ერთი თეთრიც არ მიგიღია! მეტიც, უცხოელებისგან ფული ვიშოვე, დაწესებულება რომ განმევითარებინა, მაგრამ ამ ფულის მიღებაზე მთავრობამ უარი მითხრა.

— ამ მთავრობამ?

— დიახ.

— უარი რა მოტივით გითხრათ?

— გეტყვით, თუმცა პატარა ექსკურსს გავაკეთებ: შიშველი ხელები, ცარიელი ჯიბე გვაქვს და იმაზე ვართ დამოკიდებულნი, ვინ შემოვა და რამდენს გადაიხდის, ამით ვარსებობთ, თუმცა ხელფასის მხოლოდ ერთი თვის დავალიანება გვაქვს და ესეც იმიტომ, რომ პაციენტების რაოდენობა სეზონურია — ხალხი გაზაფხულიდან შემოდგომამდე მოდის...

— ესე იგი, თქვენს განკარგულებაში მხოლოდ „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტია“ თუ, ვთქვათ, ახტალაც?

— ეს ჭორია, რომელიც დღემდე ვერ აღმოიფხვრა! უფრო მეტს გეტყვით: ამას წინათ, ერთმა კაცი გამომიგზავნა, ნუ მათქმევინებთ, ვინ, თუ შეიძლება, საირმეში ლუქსი გამიკეთოსო.

— „ოცნების“ წარმომადგენელმა გამოგიგზავნათ?

— არ ვიცი, ოცნება იყო, მზე თუ მთვარე, ვიცი, რომ წონიანი კაცისგან იყო, ჩემი მისვლა უხერხულიაო.

— მერე, რა უთხარით?

— ამოიღეთ რეესტრიდან და ნახეთ, ვის აქვს. თქვენ თუ არ იცით, აბა, ტაქსისტისგან გავიგოთ, ვის რა ეკუთვნის-მეთქი?..

ეს დაწესებულება ერთი ოჯახია, სადაც ახალი ხელმძღვანელის მოსვლასთან დაკავშირებით არაა ასეთი მოდუსი — იცით, გუნდი მომყავს და თქვენ სახლში წადითო. დღეს ჩემთან ის ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ჩემამდე 25 წლის განმავლობაში მუშაობდნენ, 70 და 75 წლის ექიმები, მაგრამ გამოცდილები. მთავარია, აზროვნებდე, ხელ-ფეხი გერჩოდეს. ასე ვთვლი — ყველასთან ყოველთვის შეიძლება საერთო ენის გამონახვა, მით უმეტეს, პროფესიონალების არგაშვება.

— ამ რჩევას თქვენს ვაჟს რატომ არ აძლევდით?

— ამ საკითხებს გვერდს ავუვლი, ჩემი საქმე არაა. სახელმწიფოს მართვა, ალბათ, უფრო რთულია, ვიდრე — პატარა დაწესებულების... პროფესიით გასტროენტეროლოგი ვარ — მთელი ცხოვრება სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე ვმუშაობდი, 5 წელი ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ წამყვან ხელმძღვანელ პოსტზე ვიყავი — 1994-დან 1998 წლამდე ექიმობას მომგლიჯეს, ვიდრე აქ მოვიდოდი. სხვათა შორის, ჯანდაცვიდან ჩემით წამოვედი, არავის არსაიდან არასოდეს გავუგდივარ და ჯანდაცვაში, თურმე, დღესაც იხსენებენ, ნიკას თავისი საქმე როგორ კარგად ჰქონდა აწყობილიო. ვანო, კაბინეტს ათვალიერებთ, 18 წელია, დირექტორი ვარ და მესამე წელია, რაც გავარემონტე — მანამდე, დაიჯერებთ, კაბინეტი არ მქონდა.

— აბა, სად იჯექით?

— ერთი პატარა ოთახი იყო... ახლაც ბევრია გასაკეთებელი. ყველაფერს სჭირდება განვითარება. ჩემი შეხედულებით, გარკვეული გამოცდილებითა და თეორიული ცოდნით, ასე ვიცი: როცა გარკვეულ ეტაპამდე მიდიხარ, იყინები და თუ პატარა ინექცია არ მოხდა განვითარებაში, სწრაფი დაღმასვლა იწყება. ხვდებით, რაზეც ვლაპარაკობ: რაღაც პიკზე მივედით და ვიგრძენი, რომ ახალია საჭირო, რათა ფესვები გამყარდეს. ეს დაწესებულება რომ ჩავიბარე, პრაქტიკულად, შავი კარკასი იყო: შუშები არ ჰქონდა, პარკეტი აყრილი იყო, თუნუქის ღუმელი იდგა, ექიმებს შემოსავალი არ ჰქონდათ, მაგრამ ბალნეოლოგიურ კურორტს ინარჩუნებდნენ და ამ დროს მე მოვდივარ. დღესაც არ ვიცი, რატომ მომიყვანეს, ეს რა ფანდი იყო... სამი თვის მერე, როცა დაინახეს, რომ აღზევების პროცესი დაიწყო, პირდაპირ მითხრეს, უნდა წახვიდეო.

— ვინ გითხრათ?

— რა მნიშვნელობა აქვს... ჯარისკაცი არ მეტყოდა, ზემდგომმა...

— ანუ, ჯანდაცვის მაშინდელმა მინისტრმა?

— არა, ჯანდაცვის სამინისტროსთან საქმე არასოდეს მქონია, თუმცა დღესაც ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი საბჭოს წევრი ვარ.

— ბატონო ნიკოლოზ, მუშაობა როდის უფრო გიჭირდათ: 1998-დან 2003 წლამდე, 2003-დან 2012 წლამდე, თუ 2012 წლის მერე?

— შუალედურ პერიოდში.

— როცა პრეზიდენტი მიშა იყო?

— დიახ.

— მაშინ მუშაობა რატომ გიჭირდათ?

— იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ზედმეტი არაფერი მომივიდეს, ვინმემ რამე არ თქვას-მეთქი — ყველა მხრიდან ყურადღების ცენტრში ვიყავი, რაღაც გადაურიცხეს, თურმე, ეს აქვს, თურმე, ის აქვსო. არადა, არაფერი მქონია. პატიოსნად ვმუშაობდით.

— რატომ არ ცდილობდით, თქვენი საქმიანობა საჯარო გაგეხადათ და თუნდაც მედიასთან უფრო მჭიდრო კონტაქტი გქონოდათ?

— საჯაროობა არ მაკლდა — გადახედეთ „იმედის“, საპატრიარქოს ტელევიზიის არქივს, გადაცემა „პულსს“. ფულის უქონლობის გამო, ვცდილობდი, მედიასთან ურთიერთობით ამ დაწესებულების რეკლამირება გამეწია, მაგრამ შეაყარა კედელს ცერცვი — ისმენდნენ, კითხულობდნენ და ისევ თავისას ამბობდნენ, საკუთრებაში აქვსო. დღესაც არაა საკუთრება და იმისთვისაა ბრძოლა, რომ საქართველოს შევუნარჩუნოთ. ევროპაში სულ ორი დედაქალაქი კურორტია — ბუდაპეშტი და თბილისი.

— რას გულისხმობთ?

— რას და, უნიკალურ ბუნებრივ რესურსებს. აი, ხედავთ, ეს ჯერ კიდევ 1932 წელს შექმნილი უნიკალური სქემაა, რომელიც აქ რომ მოვედი, ნაგვიდან ამოვიღე. საერთოდ, მაშინ მთელი დაწესებულება ნაგავში იყო.

— „თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს“ რამდენწლიანი ისტორია აქვს?

— 1937 წელს გაიხსნა, თუმცა საფუძველი ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისამდე ეყრებოდა. ნიკო ნიკოლაძე და სხვა მოღვაწეები იღვწოდნენ, რომ ამ ადგილას სამკურნალო სადგური გაკეთებულიყო, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან დღევანდელი გადმოსახედიდან, ბიზნესში მონაწილე ხალხი დამატებითი კონკურენტის გაჩენას ხელს უშლიდა. 1932 წელს, მიხეილ ზანდუკელმა მაშინ ძალიან ცნობილ თეატრის მხატვარს, სიდამონ ერისთავს სთხოვა, სქემატური ნახატი გაეკეთებინა, რომლის მიხედვითაც აბანოებიდან კრწანისის ყოფილ სამთავრობო აგარაკებამდე კურორტული ზონა იქნებოდა. ამ კორპუსის მშენებლობაც მაშინ დაიწყეს, დანარჩენი კორპუსების მშენებლობას კი ხელი რაღაცებმა შეუშალა... თავის დროზე ეს დაწესებულება საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის ობიექტად ითვლებოდა — მთელი საბჭოთა კავშირიდან სამკურნალოდ აქ ჩამოდიოდნენ და დღეში გამტარუნარიანობა 1500 ადამიანამდე გახლდათ. სხვათა შორის, ეს იყო პირველი ობიექტი, რომელსაც ნაღდი ანგარიშსწორების ნება დართეს და თვითდაფინანსება დღემდე მოსდევს.

— მაშასადამე, ბიზნესისთვის კარგი მასალაა, არა?

— ვთვლი, რომ ჯანდაცვაში ბიზნესი არ არსებობს. ახლა წამოიწყეს სამედიცინო ტურიზმი, რომელიც ბიზნესის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ ითვლება. სხვათა შორის, სამედიცინო უნივერსიტეტში ჯანმრთელობის ტურიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი ვარ. ამ დაწესებულებას სახელი გადავარქვი და ასე დავარქვი — „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი — საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამედიცინო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“. ეს 2000 წელს იყო და ვიცი, დამცინეს, კრამიტი დაუჩოჩდა, რომელ სამედიცინო ტურიზმზე ლაპარაკობსო, მაგრამ გავიდა წლები და საქართველოში სამედიცინო ტურიზმი აქტუალური გახდა.

— ჰოდა, დღეს ამ კურორტის მიმართ ვინმეს ბიზნესინტერესი ხომ არ აქვს?

— საფუძველი ასეთი იყო, რაც ოფიციალურად გაჟღერდა: თურმე, სავალუტო კურსის გაუმჯობესების თვალთახედვით, შეიქმნა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, რომელთა გაყიდვაც, ქართულ ვალუტას გადაარჩენს, თუმცა ამ განმარტებამდე უკვე არსებობდა მისვლა-მოსვლა.

— პოლიტიკურ ანგარიშსწორებას გამორიცხავთ?

— პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ვერავინ დამიწყებს იმიტომ, რომ პროფესიონალი ვარ და ჩემს დარგში ჩემნაირი პროფესიონალი ნეტავ, ბევრი ჰყავდეთ! უცხოეთშიც მიცნობენ, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მთავარ კურორტოლოგს... ვთვლი, როგორც ადრე იყო, საქართველოში ყველა კურორტი ამ კურორტს უნდა ექვემდებარებოდეს და ყველა საკითხავად აქ მოდიოდეს. ისე, დღესაც ასეა — იციან, რომ აქ ცოდნა, ინტელექტი, გამოცდილებაა და ბევრ რამეს გვეკითხებიან... ახლახან, მთხოვეს „ბორჯომი პალასში“ შეხვედრას დავსწრებოდი. ვიღაცამ იქ ორჯერ ჩასული რომ დამინახოს, შეიძლება, მომაწებოს, რომ „ბორჯომი პალასი“ ჩემია. იცით, საირმეს თემა საიდან წამოვიდა, ნიკოლოზ სააკაშვილს ლარად მისცესო? — საირმე მსოფლიო დონის უნიკალური კურორტია, სადაც ახალგაზრდობაში ვმუშაობდი. 2004 წლის შემდგომი პერიოდია, ერთ-ერთი სანატორიუმის დირექტორმა მთხოვა, საერთოდ გავნადგურდით და იქნებ, მოგვეხმარო, პიარი გავაკეთოთო. ორგანიზება საერთაშორისო კონფერენციას გავუკეთე და იმ დანგრეულ კურორტზე, სადაც ვირთხები დარბოდნენ, უცხოელები ჩავიყვანე, ძირითადი აქცენტი აზერბაიჯანსა და ჩვენს მეზობლებზე გავაკეთე, ვისაც ტალახისა და ბუნებრივი რესურსების აბაზანები უყვართ.

— ისე, ტალახის აბაზანა არასოდეს მიმიღია...

— 18 წელია, აქ ვარ და სამკურნალო ტალახი ნამდვილად არც მე მიმიღია, თუმცა ტალახი ტელევიზიიდან მიმიღია. შეიძლება, გაგეცინოთ, მაგრამ იმის დრო არასოდეს მაქვს, ტალახის აბაზანაში ნებივრობაზე ვიფიქრო.

— მიშა თუ ყოფილა?

— დიახ, ყოფილა, პროცედურები მიუღია, შეუფასებია კიდეც და უთქვამს, აქ მსოფლიო დონის კურორტი უნდა გაკეთდესო. მოკლედ, საირმეში საერთაშორისო კონფერენცია მოვაწყვეთ. ვიღაცებმა კი მითხრეს, ნიკა, ამას ნუ აკეთებ, დანგრეულ სანატორიუმში უცხოელების ჩაყვანა სირცხვილიაო, მაგრამ ავუხსენი, ამას თავისი მიზანი აქვს და ეგებ, ხალხის მოძრაობა დაიწყოს-მეთქი.

— მიშასავით კარგი „პიარშჩიკი“ ყოფილხართ!

— ნამდვილად ვარ — იმის გაპიარება, რაც ქვეყნისთვის საჭირო და სასარგებლოა, ძალიან კარგად ვიცი! ერთმა უცხოელმა მკითხა, მენეჯმენტის კურსები სად გაიარეთო. ვუპასუხე, არსად, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ვარ-მეთქი და გაუკვირდა, როგორ შეიძლება, ჩვეულებრივი ინსტიტუტის კურსდამთავრებულს მენეჯმენტში ასეთი გაქანება ჰქონდესო... რატომ გეცინებათ?

— იმიტომ მეცინება, რომ მგონია, მიშა მელაპარაკება — მიმიკებით, ჟესტიკულაციით, ხმის ტემბრითაც კი თქვენი ალიკვალია!

— ჩემი პიარი და მონდომება რომ არ ყოფილიყო, დღეს ეს კურორტი არ იარსებებდა და ჩვენთან ჭიდაობა ძნელი არ იქნებოდა. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით: აქ ვიღაცის სასტუმრო ან რამე ასეთი იქნებოდა. კურორტი არც ახლა გაიყიდება, რადგან ვისაც საჭიროა, დავარწმუნებ, რამდენად სწორია ამ დაწესებულების სახელმწიფოსთვის შენარჩუნება! კურორტოლოგია საქართველოში წამყვანი უნდა იყოს და ამ კუთხით პოლიტიკა სწორედ ამ დაწესებულებამ განსაზღვროს! არ შეიძლება, ქართული კურორტოლოგია იტალიელმა ან ფრანგმა ბიზნესმენმა სწორად წარმართოს, რადგან ყველა ქვეყნის კურორტოლოგიას თავისი სპეციფიკა აქვს!

...ჩვენთან ცერებრალური დამბლით დაავადებული ძალიან ბევრი ბავშვი მკურნალობს და გადავწყვიტე, მათ დასახმარებლად სარეაბილიტაციო კუთხე გამეკეთებინა. საერთოდ, ცენტრებზე ლაპარაკი არ მიყვარს. ისიც მეხამუშება, გენერალური დირექტორი რომ მქვია. ვთქვათ, ამ დაწესებულების მენეჯერი, უფრო სწორად, ვთვლი, რომ ყველაზე კარგი სიტყვა მმართველია. სულ არაა საჭირო, გენერალური გერქვას. უფრო მეტსაც გეტყვით: ასეთი ამბიციები არ მაწუხებს და კომპარტიის წევრიც არ ვყოფილვარ.

— არც ნაცმოძრაობის?

— არა. ჩემი პარტია კურორტოლოგიაა, ადრე კი გასტროენტეროლოგია იყო — გასტროენტეროლოგიის უზარმაზარი განყოფილების გამგე და ამიერკავკასიის მთავარი გასტროენტეროლოგი ვიყავი. ჩემს დარგში ყოველთვის ამბიციური ვიყავი, რადგან ამბიციის საფუძველი მქონდა. ჰოდა, რისი თქმა მინდა: დავუკავშირდი „კარიტასს“, რომელმაც ვატიკანის ელჩთან დამაკავშირა, იმან — ვიღაცასთან და გამოინახა იტალიელი, რომელსაც ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების კუთხე დავაფინანსებინეთ.

— ყველაფერი ეს 2012 წლის არჩევნების მერე მოხდა?

— 2011 წელს და დღესაც გრძელდება — იმ განყოფილებაში რომ შეხვიდეთ, გაკვირვებისგან შეიძლება, წაიქცეთ, რადგან ევროპული დონის უმაღლესი განყოფილებაა, მაგრამ იცით, საწყენი რა არის? — გახსნაზე სათანადო ხალხი, ვინც დავპატიჟე, ჩეხეთის, პოლონეთისა და იაპონიის ელჩების მეტი არავინ მოვიდა. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ამ განყოფილებას აუტიზმიანი ბავშვების მკურნალობაც მივაბით და ბარაკამერა შემოვიტანეთ, რომელიც თბილისში არავის აქვს. ამასობაში, „იბიარდის“ ბიზნესფორმუმი ჩატარდა. ეს „იბიარდი“ საოცარი სიტყვაა — „იბიარდს“ რომ იტყვიან ხოლმე, რაღაც ასოციაციები მეც მიჩნდება...

— „იბიარდზე“ ნამყოფი ხართ?

— (გულიანად იცინის) თქვენ როგორ ფიქრობთ?

— არ ვიცი...

— (ისევ გულიანად იცინის) არც მე ვიცი... მოკლედ, იაპონიის წინა ელჩი ჩემდამი ძალიან კეთილგანწყობილი იყო, რამდენჯერმე მესტუმრა და მითხრა, რომ ჩემთან კომუნიკაცია მოსწონდა. ჰოდა, ვთხოვე, იქნებ, რამდენიმე აპარატის შეძენაში დამეხმაროთ-მეთქი. იაპონიის მთავრობასთან შუამდგომლობა გააკეთა და იმ წელს, როცა მიწისძვრა მოხდა, „თბილისის ბალნეოლოგიურმა კურორტმა“ იაპონიიდან გრანტი მიიღო, რისთვისაც იაპონიის მთავრობას მადლობას ვუხდი.

— და „იბიარდი“ რა შუაშია?

— გეტყვით... ამ აპარატურაზე სოციალურად დაუცველებს და სხვა გარკვეულ კატეგორიას უფასოდ ვმკურნალობთ. „იბიარდის“ ბიზნესკონფერენციაზე იაპონიის დელეგაციაც იმყოფებოდა. დამირეკეს და მითხრეს, რომ დელეგაციის ხელმძღვანელი საგრანტო პროექტის ფარგლებში მიღებული აპარატურის დათვალიერებას ითხოვდა. 70-10-წუთიანი შეხვედრა დაინიშნა. მეორე დღეს იაპონიის დელეგაციას ელჩიც მოჰყვა. დელეგაცია ნანახით კმაყოფილი დარჩა და ათ წუთის ნაცვლად, საათნახევარი დაჰყო. იმ დღეს უბედნიერესი კაცი ვიყავი... იცინოდნენ, საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა მუშაობდე, ამ კაცს ხელი სტაცეო.

— ანუ?

— დელეგაციის ხელმძღვანელს ის ვუთხარი, რაც მტკიოდა და ვცადე, კიდევ ხომ არ იქნებოდა იაპონელი ხალხისგან დახმარება. დღეს ერთი რაღაც ძალიან მტკივა და ამას ალალად, ყოველგვარი არტისტიზმის გარეშე გეუბნებით, ისე გელაპარაკებით, როგორც ჩემს მეგობარს და ოჯახის წევრს...

— რაც ხელისუფლება შეიცვალა, ბატონო ნიკოლოზ, ინტერვიუ მიგიციათ?

— არა, პირველი თქვენ ხართ.

— რატომ დამთანხმდით?

— ვიცი, რომ წესიერი კაცი ხართ.

— ამ ინტერვიუს მიშას წააკითხებთ?

— არ ვიცი...

— მასთან კომუნიკაცია გაქვთ? ბოლოს როდის დაეკონტაქტეთ?

— დაბადების დღე მივულოცე...

— არ გენატრებათ?

— სისხლი და ხორცია და მონატრება, ბუნებრივია.

— კაბინეტში შვილიშვილების სურათები გიკიდიათ, მიშასი — არა...

— შვილიშვილების ფოტოები სხვა რამეა, მაგრამ შვილის სურათები და სხვა აქსესუარები რომ აქვთ ხოლმე კაბინეტებში, სწორად არ მიმაჩნია. ჩემი სიმდიდრე აი, ეს სერტიფიკატებია!

— ოდესაში რომ შემოგთავაზონ სამსახური, წახვალთ?

— არა!

— უხერხული კითხვა უნდა დაგისვათ: ადრეც და ახლაც თქვენს გვარზე დიდი მითქმა-მოთქმაა...

— აბსოლუტურად ხმამაღლა ვაცხადებ: წმინდა წყლის ქართველი ვარ!

— აბა, ეს ხმა რატომ გაჩნდა?

— რა ვიცი, რატომ გაჩნდა? შეიძლება, თქვენზეც თქვან, რომ არუთინოვი ან მამედოვი ხართ! მე სააკაშვილი ვარ! რატომ არ იძახიან, რომ სააკაძეები ვართ?

— სააკოვს ამბობენ...

— კარგი, რა?! ეს სიტუაცია უკვე სასაცილოა! იმასაც იძახიან, რომ მამაჩემის კაბინეტზე, თურმე, სააკოვი ეწერა, მაგრამ 1951 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად სააკოვს დანიშნავდნენ? ვიდრე დირექტორად დანიშნავდნენ, მილიონჯერ გასინჯული იყო. არის ხალხის კატეგორია, რომელიც ყველა დროს ძალიან კარგად ერგება და გარკვეული რაღაცები შეიძლება, მისგანაც მოდის. ხვალ შეიძლება, სიტუაცია ამოყირავდეს და ისევ სააკაშვილები გავხდეთ!

— ბედნიერი ხართ?

— რატომ არ ვარ? ჯერ ერთი, ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობ, შვილები, 7 შვილიშვილი მყავს, მაქვს სამსახური, რომელიც მიყვარს და ჩემი პოლიტიკა ეს დაწესებულებაა! სხვა მიმართულებით წასვლა რომ მდომებოდა, პირდაპირ გეტყვით, ჩემგან კარგი პოლიტიკოსი გამოვიდოდა — ენაც მიჭრის, გონებაც, არაჩვეულებრივად მობილური ტვინი და ანალიზის უნარი მაქვს. შემიძლია, წინასწარ გითხრათ, რა მოხდება, მაგრამ ახლა, თქვენც არ იფიქროთ, რომ კრამიტი დამიჩოჩდა...

— ისე, მიშამ ერთხელ თქვა, გიჟს მეძახიანო...

— ჩემზეც იძახიან, გიჟიაო. იცით, რა? — შეიძლება, ყველაფერი დაგაბრალონ და ქალების მოყვარულიც დაგარქვან, მაგრამ მერე რა? ქალებისმოყვარულობა ნორმალური ადამიანის ფიზიოლოგიაა!

— ქალებისმოყვარულს ხაზს რატომ უსვამთ?

— იმიტომ, რომ მუდმივად რაღაც სისულელეები ისმის. მთავარია, შენს ოჯახს არ შეეხო და ოჯახის ერთგული იყო, თორემ ქუჩაში შეიძლება, ვიღაცას გახედო და გაუცინო. რაღაცას რომ „გაბამენ“, ეს პროვინციალიზმის დამახასიათებელია. ყველაფერს ის ადამიანები ავრცელებენ, ვისაც ის აკლიათ, რასაც აპიარებენ!

დასასრული მე-6 გვერდზე

„ირაკლი ღარიბაშვილის მოხსნა არასწორია“

გახდებიან თუ არა რესპუბლიკელები კოალიციის დიდერები, რატომ არ აქვს გამარჯვების შანსი პაატა ბურჭულაძეს და რა ორ მთავარ საფრთხეზე საუბრობს ნიკა რურუა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რას უკავშირებს ექსპრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის უცაბედ გადადგომას, რატომ დაჩქარდა პოლიტიკური მოვლენები წინასაახალწლოდ, რა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა „ოცნებამ“, ვინც ცდილობს კოალიციაში „ქალწულებრივი უმანკოების“ შენარჩუნებას და რატომ ვერ იქნება პაატა ბურჭულაძე 2016 წლის არჩევნებში გარდატეხის შემტანი ფაქტორი — „ვერსიისთვის“ პოლიტიკურ შეფასებებს ნაციონალების გუნდის ექსმინისტრი, ყოფილი დეპუტატი, მოძრაობა „ივერიის“ ლიდერი ნიკა რურუა აკეთებს.

— ბატონო ნიკა, წლის ბოლოს და ახალი, საარჩევნო წლის დასაწყისში, პრემიერი ღარიბაშვილი გადადგა. რას ნიშნავს მოვლენების ასე სწრაფად შემობრუნება, თუ ეს არც მიგაჩნიათ სერიოზულ ცვლილებად?

— ირაკლი ღარიბაშვილი წარმატებული პრემიერი არ ყოფილა — ქვეყნის ეკონომიკა ცუდ დღეშია, უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია, ნეპოტიზმისა და კორუფციის ნიშნები სახეზეა, მთავრობა გაზრდილი, ბიუროკრატია გაბერილი, პრემიები და დანამატები — პიკზე, ხალხს კი ძალიან უჭირს. ამ ყველაფრის გამოსწორების პერსპექტივა ირაკლი ღარიბაშვილის ხელში ნამდვილად არ ჩანდა. ის არ იყო ეკონომიკაზე ორიენტირებული პრემიერი, რადგან, ძირითადად, ბიძინა ივანიშვილის მიმართ მაამებლობით იყო დაკავებული. ის ანგარიშვალდებული იყო ივანიშვილის და არა ხალხის წინაშე, ამიტომ ეს პროცესი მისთვის ლოგიკურად დასრულდა. ღარიბაშვილი ხალხზე ორიენტირებული რომ ყოფილიყო, ასე იოლად და უმიზეზოდ ვერ მოიშორებდნენ.

— ამდენი პრობლემა ჩამოთვალეთ და ეს ყველაფერი სერიოზული მიზეზი არ არის?

— ეს ობიექტური მიზეზებია, მაგრამ ღარიბაშვილი მათ არც ეთანხმება და არც აღიარებს. მისი გამოსვლაც სუპეროპტიმისტური იყო. სამ ეკრანზე ერთდროულად მოგვევლინა, მიღწევებზე ისაუბრა, ასეთი მიზანსცენის ფონზე კი, უცებ, გადადგა, ვითომ, საკუთარი ნებით. ასე არ ხდება! ის ივანიშვილმა გადააყენა და სწორედ ესაა არაფორმალური მმართველობის მახინჯი ფორმა. მის მეპატრონეს, ივანიშვილს, რაღაც მომენტში, ღარიბაშვილი აღარ მოეწონა, ამიტომ აიღო და მოისროლა. ღარიბაშვილი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, რომლად ქცევის მოტივაციაც, პრინციპში, არც ჰქონდა, მეტს იზრუნებდა ხალხზე, ნაკლებს — ბიძინაზე და ასე ვეღარავინ მოისროდა. ახლა ყველა ივანიშვილის ხუშტურზე რომაა დამოკიდებული, ამიტომაცაა, რომ „ოცნება“ დღეს ყველაფერს ხალხისთვის კი არა, ივანიშვილისთვის აკეთებს. შედეგად, ხალხი უკმაყოფილოა და პარადოქსია, მაგრამ ივანიშვილიც უკმაყოფილოა. ივანიშვილს ხალხის მაინც ეშინია, იმდენი ჭკუა კი აქვს, მიხვდეს, რომ მისი და „ოცნების“ პოპულარობა იკლებს... ამიტომაც გაიღო „მსხვერპლად“ ღარიბაშვილი.

— თუკი ეკონომიკაზე ორიენტირებულ პრემიერზე ვსაუბრობთ, ასეთი, ალბათ, გიორგი კვირიკაშვილი უფროა, მისი წარდგენისას კი, მთელი სახელისუფლო ვერტიკალი ერთიანი ჩანს. მისგან რაიმე ცვლილებას ელით?

— ვფიქრობ, ბევრს ვერც კვირიკაშვილი გააკეთებს, რადგან თავად მართვის მოდელია მახინჯი. ქვეყანაში გადაწყვეტილებებს იღებს ადამიანი, რომელსაც არანაირი კონკრეტული თანამდებობა არ აქვს. ირაკლი ღარიბაშვილის მოხსნა არასწორია, რადგან გადაწყვეტილებები, რომელსაც ის შეეწირა, ბიძინა ივანიშვილის მიღებულია. ღარიბაშვილი წავიდა, ივანიშვილი დარჩა, ანუ სხვა იღებს გადაწყვეტილებებს და ამაზე პასუხს სხვა აგებს. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია, ამიტომ 2016 წელს ხალხმა უნდა მოხსნას ივანიშვილიცა და მისი მარიონეტებიც, არჩევნებში დამარცხებით.

— ტაქტიკურად, რამდენად გამართლებულია საარჩევნო წლის დასაწყისში ასეთი ცვლილებები?

— ზოგადად, არაფერი შეიცვლება, მაგრამ თავად „ოცნების“ გადმოსახედიდან, ეს არასწორი ნაბიჯი იყო. ეს რატომ მოხდა, ვერც მე გავიგე და ვერც ვერავინ. ვერც იმას ვხვდები, რა განსხვავებაა ღარიბაშვილსა და კვირიკაშვილს შორის. გამოდის, ღარიბაშვილის მოხსნა მისი სისუსტისა და წარუმატებლობის აღიარება იყო მაშინ, როცა თავად ღარიბაშვილიცა და მინისტრთა კაბინეტიც საპირისპიროს ამტკიცებდა. ახლა სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია — 2012 წლის მერე, საქართველო მთელ მსოფლიოს, ფაქტობრივად, დაავიწყდა და ჩვენი პრობლემა, უკრაინის პრობლემასთან ერთად, აღარ ისმის საერთაშორისო საზოგადოებაში; ძალიან მაშფოთებს მეორე ტენდენციაც, რომელიც ახლა გამოიკვეთა — ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი, ბატონი კალაძე და მისი ნახევრადგასაიდუმლოებული შეხვედრები გაზპრომის ხელმძღვანელობასთან, მის ტოპმენეჯერებთან. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ გაზპრომის, რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღის საფრთხეს, „ოცნება“ ან არ იგებს, ანდა ემორჩილება და სურს, საქართველოს რუსეთის გავლენა მოახვიოს თავს. გაზპრომს ისედაც ძლივს ჩამოვშორდით და ენერგოდამოუკიდებლობას მივაღწიეთ, მისი აქ ხელახლა შემოშვება კი უკვე კატასტროფული შეცდომაა. რუსული ე.წ. იაფი გაზი ყოველთვის მაღალი პოლიტიკური საფასურით მოდის და რაღაც მომენტში, ან გვეტყვის, გაზს გიძვირებთო, ან, უბრალოდ, გადაკეტავს და გაგვყინავს. კალაძე, ამ ვითარებაში, ძალიან დესტრუქციულ როლს ასრულებს. ვფიქრობ, საქმე უფრო გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლის მცდელობასთან გვაქვს და ესაა ყველაზე საშიში.

— კახა კალაძე პოლიტიკურ კულუარებში, ლამის ერთი წელი, მომავალ პრემიერად განიხილებოდა, დღეს კი ამ პროცესებზე კომენტარიც არ გაუკეთებია. რატომ ხდება პრემიერი კვირიკაშვილი და არა კალაძე, როგორც ფიქრობთ?

— კალაძეს არათუ პრემიერობის, არამედ მინისტრობის არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნია. ის ოდესღაც წარმატებული ფეხბურთელია, რომელმაც კარიერაც წარუმატებლად დაასრულა, ერთ ტაიმში ორი ავტოგოლით. მან არ იცის ეკონომიკა, პოლიტიკა და ბევრი სხვა რამ. ერთადერთი, რბილი „ლ“ მაგარით შეცვალა და ესაა მისი მიღწევა, სხვა მიღწევები ამ კაცს არ აქვს, კვირიკაშვილი კი ასე ცუდად არ გამოიყურება, თუმცა გუნდით, რომელიც ჰყავს, არსებული რეალობის შეცვლა გაუჭირდება. ის ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან წინა პლანზე საარჩევნო წელს გამოვიდა და ამ პრობლემებთან მოუწევს ჭიდაობა. მგონია, რომ არ ყველაფერს ვერ აწევს. პრობლემებს არა კონფრონტაციული, არამედ კომპეტენტური მართვა სჭირდება. ქიმერებთან ბრძოლა საჭირო არ არის, მაგრამ ამათ საქმის კეთება არ იციან და ამიტომაც არიან მოჩვენებებთან ორთაბრძოლით დაკავებულნი.

— „ოცნება“, ძირითადად, ნაციონალებთან ბრძოლითაა დაკავებული, გამოდის, მოჩვენების როლში სწორედ ნაციონალები არიან?

— ჰო, მაგრამ ნაციონალებს, უკვე 3 წელია, ძალაუფლება აღარ აქვთ. შეიძლება, „ოცნება“ სამი წლისწინანდელი ხელისუფლების ოპოზიცია იყოს? ხელისუფლება ოპოზიციის ოპოზიციაა და ეს ნორმალურია? ახლა ნაციონალები მეტ საქმეს აკეთებენ ოპოზიციაში, ვიდრე „ოცნება“ ხელისუფლებაში. ზოგადად, დღეს ოპოზიცია ხელისუფლებაზე კონსტრუქციულია. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებამ პოლიტიკური კულტურის დონე უფრო დაწია. აგერ, ყოფილმა გამგებელმა მოქმედს ყური მოაჭამა, ვიღაცა ვიღაცას თავში ურტყამს, ღია ეთერში ჩხუბობენ, პოლიტიკური კულტურა ისევ მუშტიკრივამდე მივიდა. ესაა ის საოცარი დემოკრატია, რომელიც ივანიშვილმა შექმნა.

— შიდაკოალიციური დემოკრატია, როგორ ჩანს, აქვთ — ღარიბაშვილის წასვლის შეფასებისას რესპუბლიკელები კიდევ ერთხელ გამოირჩნენ მთელ კოალიციაში და ღარიბაშვილი აღარ გვაინტერესებსო, განაცხადეს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ კოალიცია ახლა უკვე რეალურად იშლება წინასაარჩევნოდ?

— ჩემი აზრით, ეს ერთობა კოალიციის ფორმას კვლავ შეინარჩუნებს, რადგან მის წარმომადგენლებს ცალ-ცალკე არანაირი შანსი არ აქვთ. ეს ნეგატიური ერთობაა, სადაც პარტიები შიშითა და ფულით არიან გაერთიანებულნი. როგორც კი ივანიშვილის ფული აღარ იქნება, აღარც კოალიცია იარსებებს, მაგრამ ვიდრე ივანიშვილი ამ ხალხს თავისი ფინანსური შესაძლებლობებით აკოწიწებს, კოალიციაც იქნება. ასე რომ, როგორც კი ივანიშვილი გამოეცლებათ, როგორც მხარდამჭერი, ყველანი ანონიმები გახდებიან. რესპუბლიკელებს რაც შეეხება, ეს პარტია ინტელექტუალურად, დანარჩენებზე წინაა და მიაჩნია, რომ ეს უპირატესობა ყოველთვის წინა პლანზე უნდა გამოიტანოს. ისინი „ოცნებას“ საკუთარ თავს ამადლიან, რათა კოალიციაში თავიანთი აქციები გაამყარონ. თუმცა ისინი „ოცნების“ ყველა გადაწყვეტილებაზე თავადაც აგებენ პასუხს, ასე რომ, „ქალწულებრივი უმანკოებით“, ცალკე ვერ დარჩებიან. არა მგონია, სადმე წავიდნენ, დარჩებიან კოალიციაში, მაგრამ ეცდებიან, ლიდერის როლი მოიპოვონ.

— სწორედ ამ დღეებში პაატა ბურჭულაძის „განვითარების ფონდის“ პრეზენტაციაც შედგა და თქვენმა მეგობარმა მამუკა გამყრელიძემ მას 30-35%-ის მოპოვება უწინასწარმეტყველა. ამ შეფასებას თქვენც იზიარებთ?

— ამ აზრს არ დავეთანხმები, მით უმეტეს, პროცენტებზე საუბარი შეუძლებელია. ეჭვი მეპარება, მომღერალი პოლიტიკაში წარმატებული იყოს. მას არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს; ასევე უნდა ვნახოთ მისი პოზიციები რუსეთთან მიმართებაში, რადგან არაერთგვაროვანი იყო მის განცხადება, რომ ის რუსი ბანია და ამით კმაყოფილია. ზოგადად, არავის პოლიტიკური აქტიურობის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რუსეთუმეებისა და ოკუპაციის გამამართლებელი ძალების გარდა. ძალიან კარგი იქნება, თუ პაატა ბურჭულაძე ასეთი ძალა არ აღმოჩნდება.

— ანუ 2016 წელს ბურჭულაძე არჩევნებში გარდატეხის შემტანი ფაქტორი ვერ იქნება?

— არა მგონია, თუმცა კონკრეტული შეფასებების გაკეთება ჯერ ძალიან ადრეა, რადგან 1 წელი პოლიტიკაში დიდი დროა. 2016 წელს ველი, როგორც მინიმუმ, ღია და სამართლიან არჩევნებს, დანარჩენი კი ხალხის გადასაწყვეტია. ველი არაფორმალური მმართველობის ფორმის შეცვლასა და ხელისუფლების ოპოზიციაში გადასვლას. სათავეში კი მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად ვინ მოვა, თუკი ის პროდასავლური ძალა იქნება.

„წმინდა წყლის ქართველი ვარ!“

მე-5 გვერდიდან

— ბატონო ნიკოლოზ, ე.წ. ციხის კადრები რომ ნახეთ...

— არ მინახავს და არც ვნახავ!

— შეიძლება, მაგრამ ამ თემაზე რას ფიქრობთ?

— ამ კადრების რეალობა არ ვიცი, ასეთი საკითხების ანალიზისგან შორს ვარ და მოდით, ნუ ვილაპარაკებთ, თუმცა ნებისმიერი ძალადობა შემზარავი და ადამიანური თვალთახედვით, დაუშვებელია!

— გირგვლიანის მკვლელობაზე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, როგორი რეაქცია გქონდათ?

— ხომ შევთანხმდით, რომ მხოლოდ კურორტოლოგიაზე ვილაპარაკებდით?.. მოკლედ, იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელს გამომშვიდობებისას ვუთხარი, იაპონიაში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ ვიცი, რომ იაპონელების კულტი ბავშვია-მეთქი. ეს ესიამოვნა. საქართველოს ბავშვებზე გული მტკივა და იდეა მაქვს — სამსახურში მანქანით რომ მოვდივარ...

— მძღოლი გყავთ?

— დიახ, რადგან მართვა მიჭირს.

— რა მანქანა გაქვთ?

— ტოიოტას ჯიპი, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ — მანქანის მართვა 1973 წელს, წითელი „ზაპოროჟეცით“ დავიწყე. ავტომობილები მიყვარს და პირველი ჯიპი 1999 წლის ბოლოს „მყავდა“. სასაცილოა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს, დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესიონალს და თავის დროზე კარგ ექიმს კარგი მანქანა არ მყავდეს. ისე, მე ვარ კაცი, რომელმაც ჯარისკაცობიდან გენერლობამდე ყველა გზა გაიარა. სხვათა შორის, მამაჩემზე წერენ, რომ რაღაცის გენერალი იყო, მაგრამ ხალხო, კარგი, რა!

— მიშას, გენერლობას არა, მაგრამ რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირს აბრალებენ...

— კარგი, რა?! კარგი, რა?! როცა კაცის გალანძღვა უნდათ, ან ეთნიკურობას მიაწერენ, ან რაღაცის გენერლობას აბრალებენ!

ჰოდა, იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელს ვუთხარი, ბევრი მათხოვარია, მათი ასაკი ძალიან საშიშია — 7-8-დან 15 წლამდე, ამ დროს ყალიბდება ფსიქიკა და შეიძლება, ქვეყანა კრიმინალურ სამყაროდ იქცეს. ამიტომ, თავისუფალი ფლიგელი მაქვს და მინდა, იქ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სოციალურ-ფსიქოლოგიური სამსახური შევქმნა-მეთქი. პოსტსაბჭოთა სივრცეში მსგავსი სამსახური არ არსებობს. გადაირია და თქვა, რომ იაპონიის მთავრობა პირველი ტრანშის სახით, 95 ათას ამერიკულ დოლარს გამოყოფდა.

— ეს თანხა მიიღეთ?

— დამამთავრებინეთ... ეს ამბავი მთელ დაწესებულებას მოვდე და არასამთავრობოებთან დარეკვა დავიწყე, მაგრამ რამდენიმე დღის მერე, იაპონიის მთავრობიდან შეგვატყობინეს, ვინაიდან ობიექტის 100%-იანი მეწილეა, სახელმწიფოს თანხმობა გვჭირდებაო.

— მოკლედ, 95-ათასიან იაპონურ დახმარებაზე უარი სახელმწიფომ თქვა?

— ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას წერილი მივწერე.

— მაშინ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იყო?

— დიახ. სამინისტროში ნამუშევარი ვარ და ვიცი, რომ წერილი შეიძლება, ადრესატამდე არ მივიდეს და პასუხი შუალედურმა რგოლმა გასცეს. მოკლედ, ალბათ, ორი კვირის შემდეგ, ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ქალბატონისგან მოვიდა პასუხი, სადაც ეწერა, ამ ეტაპზე თქვენი პროექტის განხორციელება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ვინაიდან „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“ საპრივატიზაციო რეჟიმში იმყოფებაო. შემეძლო, ჟურნალისტებისთვის დამეძახა, მაგრამ გავჩერდი, რადგან შეიძლება, ვინმემ მოტვინოს, გააანალიზოს, ამ პრივატიზაციამ სახელმწიფოს ისეთი რა უნდა მისცეს, ვიდრე იმ კეთილმა საქმემ, რომლის გაკეთებაც გვინდოდა! ერთი წლის წინ, სტუმრად ეკონომიკის მაშინდელი მინისტრის მოადგილე ბატონი ქუმსიშვილი მოვიდა, ობიექტი დაათვალიერა და იცით, რა თქვა? — საქართველოში ასეთი მოვლილი სახელმწიფო ობიექტი არ მეგულებაო. იმ ობიექტს, რომელიც მოვლილია და ვითარდება, ხელი რატომ უნდა ვახლოთ?! მე ვარ გარანტია, რომ აქაურობა კიდევ განვითარდება! აქ ბევრი პაციენტი დადის და ერთმა ჩინოსანმა მითხრა, ბატონო ნიკა, ყველაფერი კარგად გაქვთ გაკეთებულიო. ვუპასუხე, სამწუხაროდ, გვყიდიან-მეთქი. რატომო? — გაუკვირდა. ლარს ვამყარებ-მეთქი. გაეცინა, ძალიან კარგი ადგილმდებარეობა გაქვთ და ამით ყველაფერი გითხარითო.

— ...ქუჩაში, ხალხისგან აგრესიას გრძნობთ?

— არა! დაცვითაც არასოდეს მივლია და არც ვივლი!.. ჩემთან, სამსახურში პოლიტიკაზე ლაპარაკს ვერ გაიგებთ. აქ არ ყოფილა, წადი, ხმა მიეციო, რადგან ამ შენობაში ექიმები ვართ!

— თქვენთან „ოცნებელები“ მუშაობენ?

— არ ვიცი, შეიძლება, მუშაობენ კიდეც, არ მაინტერესებს!

— ოცნება გიყვართ?

— უსაგნო ოცნება სწორად არ მიმაჩნია, მაგრამ ჩემი ოცნებაა, დალაგებული ქვეყანა, მზიანი ცა, ნაკლები წვიმა და ქარი იყოს...

— როგორც მამამ, მიშა ბოლოს როდის დატუქსეთ?

— მგონი, არასოდეს დამიტუქსავს!

— ბოლოს, ბატონო ნიკოლოზ, თქვენ მკითხეთ რამე...

— არაფერს გკითხავთ, უბრალოდ, დამდეგ ახალ წელს გილოცავთ.

— მადლობა, მაგრამ ახალი წელი არ მიყვარს!

— ეს მომენტი მეც მაქვს, რომ კიდევ ერთი წელი წავიდა. წუთისოფელი ისედაც ძალიან მოკლეა და ვისურვებდი, რომ ახალ წელს ერთმანეთი შეგვყვარებოდეს, არ დაგვეჭამოს და ქვეყნის საქმე ერთად ვაკეთოთ! თითოეულ ჩვენგანს სიამოვნება ერთმანეთის მოფერებითა და პატივისცემით მიეღოს!

ექსკლუზიური ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან

რას მიიჩნევს ყველაზე წარმატებულ პროგრამად და ვინ იქნება ოთარ დანელიას მეკვლე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამა UNDP-ის, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში, 18-20 დეკემბერს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აჭარის რეგიონში მორიგ მედიატურს უმასპინძლა — ჟურნალისტები „ნარინჯისფერი რთველის“ შედეგებს გაეცნენ და უკრაინაში ქართული ციტრუსის ექსპორტის პროცესსაც დაესწრნენ... ამასობაში, მთავრობაში ცვლილებები განხორციელდა და... ვიდრე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარდგენილ მთავრობას პარლამენტი დაამტკიცებს, „ვერსია“ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ოთარ დანელიას ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც 2015 წელს აჯამებს, ყურადღებას სოფლის მეურნეობისა და ზოგადად, ქართული სოფლის განვითარებაზე ამახვილებს და საახალწლო სამზადისის საინტერესო დეტალებსაც გვიმხელს.

— ბატონო ოთარ, წელს უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მანდარინის მოსავალი მოვიდა. „ნარინჯისფერმა რთველმა“ როგორ ჩაიარა?

— სოფლის მეურნეობის სამინისტროში, წელიწადნახევრის წინ, სტატისტიკის წარმოება დავიწყეთ, ვინაიდან არ არსებობდა ციფრები, რომლითაც შესაბამის ანალიზს გავაკეთებდით. ამ ინფორმაციით, წელს, დაახლოებით, 100 000-დან 110 000 ტონა მოსავალს ველოდებოდით, თუმცა ექსპორტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ამიტომ დაზუსტებული მონაცემები იანვარში გვექნება. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, 20 000 ტონამდე ციტრუსია ექსპორტირებული, 5 000 ტონამდე — გადამუშავებული. ვფიქრობთ, მინიმუმ, ერთი ამდენი, სავარაუდოდ, რეალიზებულია, მათ შორის, ადგილობრივ ბაზარზე. შესაბამისად, დეკემბრის ბოლოს, დაახლოებით, 50 000-დან 55 000 ტონამდე მხოლოდ ექსპორტირებული ციტრუსი გვექნება, რაც მნიშვნელოვანი ციფრია. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ციტრუსი, რომელსაც სამრეწველო გადამუშავებისას ვიყენებთ, ის მანდარინია, რომლის რეალიზაციას ვერავინ ახორციელებდა, რადგან ასეთი ციტრუსი არასტანდარტულია. არასტანდარტული მანდარინის გადამუშავების პრაქტიკა შარშან დავიწყეთ, წელს ეს პროცესი სრულყოფილად მიმდინარეობდა და მოთხოვნაც გაიზარდა. იმ კონცენტრატის ექსპორტი, რომელიც არასტანდარტული მანდარინისგან გამომუშავდება, უცხოურ ბაზრებზე, მათ შორის, იაპონიაში ხორციელდება. გადამამუშავებელი საწარმოები, ასევე, სამაცივრე მეურნეობები მხოლოდ აჭარაში კი არა, გურიაშიც გვაქვს, ანუ ინფრასტრუქტურა, რომელიც უფრო ახანგრძლივებს პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობას. ამით, საბოლოო ჯამში, არც გლეხს ეკარგება პოტენციური შემოსავლის შესაძლებლობა და არც — მეწარმეს. ამას ემატება ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება — სტანდარტების დაცვა, რაც დაცულია იმ საწარმოებში, რომლებიც აგროკრედიტის ფარგლებში, იაფი სესხით სარგებლობენ.

— ქობულეთში არსებულ აგროსერვისის ცენტრზე ბრძანეთ, ამა თუ იმ რეგიონში სწორედ ასეთი ცენტრები უნდა იყოსო. ქობულეთის აგროცენტრი რითაა გამორჩეული?

— საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია რეგიონული ექსტენცია — საკონსულტაციო მომსახურება, სადაც ჩვენს თანამშრომლებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უმაგრებს ზურგს. ამ ცენტრებში ფერმერებს, გლეხებსა და მოსახლეობას, რომელიც სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, შესაბამის რეკომენდაციებს ვაძლევთ. რაც შეეხება აჭარას, იქ თავი ძალიან საინტერესო მიმართულებებმა მოიყარა, რასაც სხვა რეგიონებშიც ვნერგავთ. თბილისში, წილკანსა და ჯიღაურის მეურნეობებშიც დაგროვდა გამოცდილება, რასაც საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც განვავრცობთ. ეს რესურსი და ცოდნა ერთმანეთს აუცილებლად უნდა გადავცეთ და სწორედ ესაა ჩვენი მიდგომა, რომ საუკეთესო პრაქტიკა ყველგან დავნერგოთ, ის კი, რაც არ გაამართლებს, გამოვასწოროთ და ახალი, საპილოტე პროექტის სახით ჩავუშვათ. სხვათა შორის, აღსანიშნავია ახალგაზრდების ჩართულობა სოფლის მეურნეობაში, სწორედ ისინი არიან რამდენიმე აღმოჩენისა და ინოვაციის ავტორები მელიორაციის დარგში, ამიტომ გვინდა, დავეხმაროთ და მათი ინოვაციური მიდგომები პრაქტიკაშიც დავნერგოთ. მიუხედავად იმისა, რომ დარგში გრძელვადიანი პაუზა იყო, ჩვენდა გასაკვირად, სასიამოვნოა, რომ საინტერესო იდეებია ირიგაციის მიმართულებით, გვაქვს ახალი სკის კონცეფცია, რომელიც ფიზიკურად უკვე გაკეთდა და მეცნიერები გამოცდიან. რამდენიმე გამოგონება მექანიზაციაშიც გვაქვს. წელს, პირველად, გავტესტეთ ქართული გუთანი, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ბაზაზე დამზადდა. ეს რამდენიმე, სხვადასხვა სახის გუთანია და მის სერიულ წარმოებაზეც ვფიქრობთ. სავარაუდოდ, ამ პროექტში იმ ქარხნებსაც ჩავრთავთ, რომლებსაც გუთნების სერიული წარმოება შეუძლიათ.

— ანუ 2015 წელს დადებითად აფასებთ?

— ერთი წინადადებით გეტყვით: 2015 წელი ძალიან რთული და ამავდროულად, წარმატებული იყო. ყველაფერს თანმიმდევრულად ჩამოგითვლით და მელიორაციით დავიწყებ, რომელიც 100 000 ჰექტარს გასცდა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში წყალუზრუნველყოფილი ტერიტორიები 100 000 ჰა-ზე ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე სამი წლის წინ იყო. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც დარგის სრულფასოვანი, ჯანსაღი და სწორად განვითარების ფუნდამენტია. აუცილებლად უნდა ვახსენოთ აგროდაზღვევის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, 192 მილიონ ლარზე მეტი რისკია დაზღვეული და ეს იყო ამ პროგრამის პირველი, სრულყოფილი წელი, ვინაიდან ეს პროექტი 2014 წლის სექტემბერში დავიწყეთ. აგროდაზღვევის პროექტი მაშინ საპილოტე იყო და შესაბამისად, მხოლოდ წელს შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პროგრამამ რეალურად იმუშავა... უნდა ვახსენოთ 139 ახალი და 665-მდე გაფართოებულ-გადაიარაღებული საწარმოც. ჩვენი მონიტორინგის დამსახურებაა, რომ საკმაოდ მკაცრად ვაფასებთ თითოეული პროექტის მიზნობრიობას, რომელიც დაფინანსდა, რათა მათ დააკმაყოფილონ ყველა მოთხოვნა, რასაც ბიზნესგეგმა ითვალისწინებდა. მომავალ წელს ამ საწარმოების ნუსხას კიდევ ოთხი საწარმო დაემატება და შესაბამისად, მათ გახსნას 2016 წელს ვგეგმავთ.

„დანერგე მომავალი“ ყველაზე წარმატებული, ახალბედა პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც განაცხადი, დაახლოებით, 500 ჰა-ზე უკვე შემოსულია. მათი დიდი ნაწილი დავაკმაყოფილეთ, ერთი ამდენივე კი მოლოდინის რეჟიმშია, რაც ნიშნავს, რომ გაისად 1 000 ჰა-მდე ინტენსიურ ბაღებს დავაფინანსებთ. უმნიშვნელოვანესია მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა, რამაც სერიოზული სტიმული მოიტანა და დარგში ინექციის ფუნქცია შეასრულა, როგორც მოტივაციის, ასევე ეკონომიკის მხრივ. სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობა აღქმული იყო დარგად, რომელსაც არ აქვს მოგება და არ შეიძლება, ბიზნესი იყოს, მაგრამ საზოგადოებას დავუმტკიცეთ, რომ ასე არაა. პირიქით, სოფლის მეურნეობა არის დარგი, რომელშიც დიდი კაპიტალტევადობაა და ამის პრეზენტაცია სამწლიანი მუშაობის შეჯამების ფარგლებში გვქონდა. იმ სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც დავამტკიცეთ, თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე, კვლევა განვახორციელეთ, გავაკეთეთ გზამკვლევი, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ, ამა თუ იმ რეგიონისა და მუნიციპალიტეტის მდგომარეობას, კაპიტალტევადობასა და პოტენციალს აღწერს. კოოპერირების ნაწილში, 1 200-ზე მეტი კოოპერატივია ის შედეგი, რომელსაც არავინ ელოდა და ეს არაერთხელ აღნიშნეს ევროკავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ, მათ შორის იყო მონიტორინგის მისიაც, რომელმაც შეამოწმა ექსტენციები, საკონსულტაციოები და 100%-იანი შეფასება მოგვცა. მნიშვნელოვანი მხოლოდ კოოპერატივების რაოდენობა კი არა, ის პრინციპები, მიდგომები და ხარისხია, რომელიც კოოპერატივს უნდა ახლდეს. 1 200 კოოპერატივიდან აუცილებლად უნდა გამოვყო დარჩელის თხილის კოოპერატივი, რომელშიც 500-ზე მეტი მეპაიეა გაწევრიანებული და ეს ძალიან კარგი მაგალითია, თუ როგორი უნდა იყოს და რამხელა ძალაა ქართული კოოპერატივი.

ხაზგასმით აღვნიშნავ მიღწევებს საერთაშორისო ურთიერთობებშიც, რაც ჩემი და ჩემი კოლეგების არაერთ ვიზიტს გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის, ჩინეთში ვიზიტს. მელიორაციის ნაწილში, ჩინელი მეგობრებისგან 11 მილიონი დოლარის ღირებულების საჩუქარი მივიღეთ სპეცტექნიკის სახით. მნიშვნელოვანი იყო „იფადის“ პრეზიდენტის ვიზიტი — მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია საქართველოში 1997 წლიდან ოპერირებს, წელს მისი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იყო რეგიონში. ბევრი დადებითი შეფასება მივიღეთ, როგორც გაერო-ს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციიდან, ასევე, ევროპის სამეზობლო პროგრამიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, დონორებიდან.

გამოვყოფ ორ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რაც სტრატეგიაში გამოიკვეთა, ეს არის არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ, სოფლის განვითარება, რომლის კონცეფციის პრეზენტაცია არცთუ დიდი ხნის წინ გვქონდა. ეს გახლავთ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, რომელიც კლიმატთან ადაპტაციის ყველა პარამეტრსა და კომპონენტს მოიცავს. სამწუხაროდ, ამ მხრივ, დაახლოებით, 30-წლიანი ჩავარდნა გვაქვს, რადგან არც შესაბამისი კვლევები ტარდებოდა და არც სტატისტიკას აწარმოებდნენ.

— როგორც ვიცი, ქართული ჩაისა და აკვა-კულტურის განვითარების პროგრამების განხორციელებას აპირებთ. ამ მიმართულებებით კონკრეტულად რა იგეგმება?

— ქართული ჩაის პროგრამა უკვე დამტკიცდა, რომელიც საქართველოში, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას გულისხმობს. ამის თანმდევია გადამამუშავებელი ფაბრიკების კომპონენტი. სახელმწიფოს ბალანსზე 7 000 ჰექტარი, ხოლო კერძო საკუთრებაში — 3 000 ჰა-აა, აქედან სახელმწიფო ბალანსზე არსებული, მინიმუმ, 35%-40%-ის რეაბილიტაცია იგეგმება, რომელიც შედეგს სწრაფად მოგვცემს. ეს ქართული ჩაის, როგორც ხარისხიანი პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობის საშუალების წინაპირობაა. საუბარია ბიოჩაისა და ხილის ჩაის წარმოებაზეც, რადგან ამ მხრივ, საკმაოდ მრავალფეროვანი ბუნება გვაქვს და შეგვიძლია, ბაზრებს ბევრი საინტერესო შევთავაზოთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, ერთი უპირატესობა გვაქვს — ყველა პროცესი და პროექტი, რასაც ვიწყებთ, საერთაშორისო სტანდარტებს ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ სწორად დაწყებული პროექტების, სწორად მიღებული დაფინანსებისა და დანერგილი სტანდარტების პირობებში, საერთაშორისო ბაზრებზე ქართულ პროდუქციას ძალიან მაღალი კონკურენტუნარიანობა ჰქონდეს. პრინციპულად მნიშვნელოვანია ორი რამ — საქართველო აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტიორ ქვეყნად ვაქციოთ და რაც მთავარია, ქართული პროდუქტი ასოცირებული უნდა იყოს ხარისხიან პროდუქტთან. ეს არის ჩვენი ამბიცია და ჩვენი ნიშა — ეს არის ბიო, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ქართული პროდუქტი გათანაბრებული უნდა იყოს მაღალხარისხიან პრემიუმ-სეგმენტის პროდუქტთან.

რაც შეეხება თევზის წარმოებას, უკვე ჩამოვიყვანეთ უცხოელი კონსულტანტები და ამ საკითხზე სპეციალისტებთან ვიმსჯელეთ. ამ მიმართულებითაც საკმაოდ მრავალფეროვანი შესაძლებლობები გვაქვს, ვგულისხმობ სხვადასხვა ტიპის მეთევზეობის განვითარებასა და ზოგადად, აკვა-კულტურის ხელშეწყობას. რამდენიმე გამოწვევაა, როგორიცაა სანედლეულო და საკვები ბაზა, რაც ერთი შეხედვით, რთულია, მაგრამ გვაქვს ხედვა, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, რასაც ახალი ტექნოლოგიების შემოღება ემატება. ყველაფერი ეს ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის შეთანხმებას უკავშირდება, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს, პროდუქცია ქვეყნის გარეთ გაიტანონ. 2012 წლის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წილი 60%-მდე გაიზარდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი ექსპორტის, დაახლოებით, 35% უკვე ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის. ეს ერთი შეთანხმების შედეგია და წარმოიდგინეთ, რა დიდი ინტერესი აქვთ იმ კომპანიებს, რომლებსაც ამის გამოცდილება გააჩნიათ და საერთაშორისო ოპერატორები არიან. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო არის ჰაბი ანუ ეს არის ძალიან სერიოზული სატრანზიტო კორიდორი. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი პროდუქციის ტრანსპორტირება საკმაოდ სწრაფად განვახორციელოთ. ეს არის სწორად შერჩეული პოზიციები, რასაც სიღრმისეულად განვითარება სჭირდება და ამ მიმართულებით საქართველოს ძალიან სწორი პოზიცია უჭირავს.

ოთარ დანელიამ „ვერსიასთან“ ინტერვიუში „რთველი 2015“-იც შეაჯამა და აღნიშნა, რომ წლევანდელი რთველი წარმატებულად დასრულდა. განსაკუთრებით ღვინის ეროვნული სააგენტოს მუშაობა გამოყო და დასძინა, რომ სააგენტო საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაციას ხელს უწყობს — ქართული ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებშიც ხორციელდება და აზიის ბაზრებზეც დიდი ინტერესია. ამ მხრივ გამორჩეულია ჩინეთის ბაზარი, სადაც ქართული ღვინო სულ უფრო მეტად ხდება პოპულარული... ამით ექსკლუზიური ინტერვიუს ოფიციალური ნაწილი დასრულდა. ახლა კი იმას გეტყვით, როგორ შეხვდება ახალ წელს და ვინ იქნება ოთარ დანელიას ოჯახის მეკვლე. სხვათა შორის, „ვერსიამ“ ისიც გაარკვია, რომ წარმოშობით მეგრელი ოთარ დანელია უპირატესობას „ოჯალეშს“ ანიჭებს. შესაბამისად, ახალ, 2016 წელსაც სწორედ „ოჯალეშით“ გვილოცავს:

— ბატონო ოთარ, ახალ წელს, ერთმანეთს, ტრადიციულად, ხვავსა და ბარაქას ვუსურვებთ ხოლმე, ხვავი და ბარაქა კი ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობასთან ასოცირდება. მოსახლეობას ახალ წელს როგორ მიულოცავთ?

— პირველ რიგში, ფერმერებით, გლეხებითა და სოფლის მეურნეობაში ჩართული თითოეული ადამიანით დავიწყებ. ყველას ძალიან წარმატებულ და ბარაქიან წელს ვუსურვებ, თუმცა 2015 წელიც უნდა დავლოცოთ და სრულიად საქართველოს ვიზა-ლიბერალიზაციის პოზიტიური დასკვნაც მივულოცოთ, რაც ჩვენი ქვეყნისთვის გარდამტეხია. ეს თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა და ვფიქრობ, ძალიან წარმატებული დასაწყისია. ყველას, რა თქმა უნდა, ვუსურვებ დოვლათს, ხვავს, ბარაქას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ოჯახებსა და ძვირფას ადამიანებთან ერთად! ვისურვებდი, რომ ყოველი შემდეგი წელი წინა წელზე გაცილებით უკეთესი იყოს! რაც მთავარია, ეს ადამიანები ქმნიან ძლიერ სოფელს, ძლიერი სოფელი კი ძლიერი საქართველოა!

— ოჯახში განსაკუთრებული საახალწლო ტრადიცია გაქვთ, ან საახალწლო სამზადისში მონაწილეობთ ხოლმე?

— ტრადიციულად, ახალ წელს სახლში ვხვდები, ბავშვებთან ერთად. რა თქმა უნდა, ამ დღესასწაულს ტრადიციული, ხაზგასმით გეტყვით, მეგრული სუფრით აღვნიშნავთ!

— მეკვლე ვინაა?

— სხვათა შორის, მეკვლე ყოველთვის მე ვარ ხოლმე, თუმცა 2016 წელს ვგეგმავ, ჩემთან ერთად, მეკვლე ჩემი პატარა ბიჭიც იყოს.

— გოზინაყს თქვენ აკეთებთ?

— არა, დედაჩემი, თუმცა თუ ბევრი სტუმარი გვყავს, გოზინაყს ვუკვეთავთ კიდეც.

საახალწლო ფიქრები

ლევან სეფისკვერაძე

ვიზალიბერალიზებული როცა ხარ, ვალდებული ხარ, ცოტა მეტად გჯეროდეს მომავლის და ცოტა მეტად გინდოდეს, იბრძოლო უკეთესისთვის. ეს სულაც არაა ცუდი, თუმცა ერთია, რა გვინდა ჩვენ და მეორეა, რა ხდება ჩვენს ირგვლივ, თუმცა ევროპასთან მიახლოება მაინც ძალიან მაგარია, თან ახალი წლის წინ!

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ადამიანები ეგვიპტეში სამოგზაუროდ ბანკიდან ნასესხები ფულით მიდიან და შემდეგ, მთელი წელი წუწუნებენ, ამ ოხერ ბანკებს რა მაღალი საპროცენტო განაკვეთი ჰქონიათო. მაშინ, როდესაც მაღალ პროცენტებზე ეგვიპტეში წასვლის წინ ფიქრით თავი არ შეუწუხებიათ. მსგავსი ისტორიები ხშირად მსმენია და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა „მედღეხვალიობაა“ ანუ დღეს კარგად ვიყოთ და „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, — როგორც ერთ ცნობილ ლექსშია...

მალე ახალი წელი მოვა და ბოლოხანს ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ყველანი, მდიდრებიც თუ ღარიბებიც, ფულიანნიც თუ უფულონიც ნემსის ყუნწში გავძვრებით და ნასესხები ფულით იქნება თუ მუთაქაში საგულდაგულოდ გადამალული სახსრებით, მაინც მოვზიდავთ ბლომად ხორაგს, გავშლით დიდ საახალწლო სუფრას და მცირე ხნით მაინც დავივიწყებთ არსებულ პრობლემებს, მაგრამ მერე გავა დღეები და აუცილებლად შეგვახსენებს თავს ეს ჩვენი „მედღეხვალიობა“. ამასობაში ნასესხები ფულის დაბრუნების ჟამიც ჩამოჰკრავს.

ამ საახალწლო ოცობოდიის დროს, ერთი ნაცნობი კაცი შემხვდა, რომელსაც შვილი ჩოგბურთზე დაჰყავს და სულ იმას წუწუნებს, რომ ბავშვის ჩოგბურთზე ტარება ძალიან ძვირი უჯდება. ერთხელ, ცოტა ფული ჩემგანაც კი ისესხა, მწვრთნელისთვის ორი თვის დავალიანება დამიგროვდაო. ერთი ღარიბი, ხელოსანი კაცია, რომელსაც სამუშაო სეზონურად აქვს და ზამთარი მისთვის დიდი უბედურების მომასწავებელია, რადგან ზამთარში მუშაობა არ აქვს და წელიწადის ტკბილ პერიოდში ნაშოვნი ფულის გამოზოგვით უწევს ცხოვრება.

რას ვხედავ? მოდის ეს კაცი და მოაქვს ლამის მთელი ბაზარი — გოჭებიო, ინდაურებიო... უკან დაქირავებული კურტნის მუშა მოჰყვება და კაცი რომ შეხედავ, იტყვი, შეძლებაც ამას ჰქონია და კაციც ესა ყოფილაო, მაგრამ მე ხომ ვიცი მისი პრობლემები და ამბები?.. დავილაპარაკეთ ტკბილად, სალამი, მოკითხვა... მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე. ჰოდა, ვეკითხები: რა იშოვე ასეთი, შე კაცო, რომ მთელი ბაზარი სახლში მოგაქვს-მეთქი. „ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე. აბა, ახალ წელს ხომ უნდა შევხედროდი“, — მიპასუხა. როცა ვუთხარი, ბავშვის ჩოგბურთის ფულს მე მესესხები, დალოცვილო და ეს ახალი წელი ვითომ უგოჭოდ არ დადგებოდა-მეთქი? — თავში შემოირტყა ხელი. „უი, ამ ბაზარში სიარულის დროს, ყველაფერი დამავიწყდა და გაზის გადასახდელი ფულიც დამეხარჯა“.

წავიდა შეწუხებული და დაღვრემილი სახით და მეც იმაზე არანაკლებ შეწუხებული გიყვებით ამ ამბავს და თან სიმართლე გითხრათ, ცოტა ვბრაზობ კიდეც.

და განა, ახალი წელი ცუდი რამეა? რას ლაპარაკობთ?! ძველ დროში, სანამ რუსები ტვინსა და აზროვნებას შეგვიცვლიდნენ, ახალი წელი მართლაც რომ ლამაზი, უბრალო და მხიარული დღესასწაული იყო. ვინ აქცევდა ყურადღებას სახლში მოტანილი ხორაგის რაოდენობას და სუფრის ჩაზნექილობას? ოჯახს რაც სახლში ჰქონდა, ყველაფერს გამოიტანდნენ მთავარ ოთახში. დასხდებოდა ბუხართან მთელი ოჯახი. მარტო პური და ღვინოც რომ ჰქონოდათ, ჩააწობდნენ წითელ ღვინოში ლამაზად დაბრაწულ გემრიელ პურს, დალოცავდნენ ერთმანეთს, მოეფერებოდნენ და შეიძლება, რამდენიმე საახალწლო სიმღერაც კი დაეგუგუნებინათ. გარეთ კი, თუ თოვლი იქნებოდა და ფანჯრებიდან თოვლის სითეთრე შემოანათებდა ლამაზად. მეტი არც არაფერი უნდოდა ადამიანს ბედნიერებისთვის.

გილოცავთ ვიზალიბერალიზაციას, დამდეგ 2016 წელს და სიმშვიდეს, სითბოს და სიყვარულს გისურვებთ. ღვინო და პური ნურავის გამოგვილიოს ღმერთმა!

„შვილი მემუქრებოდა, ყელს ღორივით გამოგჭრიო“

სახლიდან გამოგდებული 59 წლის უსინათლო აკაკი გოგოლაძე დახმარებას ითხოვს

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

ლაგოდეხის რაიონის სოფელ წიფლისწყაროს მცხოვრები 59 წლის აკაკი გოგოლაძე 2 თვის წინ იძულებული გახდა, საკუთარი სახლიდან გამოქცეულიყო და თავი თბილისის ქუჩებისა თუ საავადმყოფოებისთვის შეეფარებინა. აკაკი გოგოლაძე, როგორც ამბობს, შვილისა და რძლისგან წლების განმავლობაში დამცირებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას იტანდა, რამაც იძულებული გახადა, ბინა შვილზე გადაეფორმებინა და ქუჩაშიც ამიტომ აღმოჩნდა. მეტიც, ბატონი აკაკი ფსიქიატრიულში გამოამწყვდიეს... მან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას განცხადებით მიმართა, თუმცა მისი ბედით არავინ დაინტერესებულა. აღსანიშნავია, რომ მოხუცი პირველი ჯგუფის ინვალიდია — უსინათლოა. აკაკი გოგოლაძემ თავისი მძიმე ისტორია „ვერსიას“ უამბო:

— ჩემს უმცროს ბიჭს, ილია გოგოლაძეს 2013 წელს გადავუფორმე საცხოვრებელი სახლი — ნოტარიუსთან მიმიყვანა და ჩემს მაგივრად ხელი თანხმობას მოაწერა, რომ სახლს შვილს ვუმტკიცებდი. წერა-კითხვის უცოდინარი არ ვარ, მაგრამ პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ — უსინათლო, ვერ ვკითხულობ, ვერ ვწერ. ჩემი შვილის მეგობარმა დამითანხმა, სახლი შვილისთვის გადამეფორმებინა და რადგან ვერ ვხედავდი, ხელი ჩემს მაგივრად მოაწერა. ყველაფერი ეს იძულებით გავაკეთე — ჩემი ბიჭი ჩემთან არ ცხოვრობდა, მაგრამ მემუქრებოდა, სახლი დამიმტკიცე, თორემ ცუდ დღეში ჩაგაგდებო. მერე მეუბნებოდა, დამიმტკიცე და მოგივლიო. ხან რას მეუბნებოდა და ხან — რას. ჩემმა უფროსმა შვილმაც ილიას მხარე დაიჭირა და იძულებული გამხადეს, სახლი მისთვის გადამეფორმებინა. ამ პერიოდში ძალიან ცუდად ვიყავი, დაუძლურებული — თავბრუსხვევა, სიცხე და ტკივილი მქონდა. ილიას გარდა, კიდევ 3 შვილი მყავს, მაგრამ ისინი თავისი პრობლემებით არიან დაკავებულნი და აღარც მკითხულობენ. როდესაც ძალიან ავად ვიყავი, არავინ მკითხულობდა, არც შვილები, არც სანათესავო.

— სახლის გადაფორმების შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ გაგრძელდა?

— ჩემი შვილი ჩემთან ერთად არ ცხოვრობდა და უპატრონოდ ვიყავი მიტოვებული. ერთხელაც, ძალიან ცუდად გავხდი და ბოდბის თავშესაფარში წავედი, სადაც საშინელი პირობები დამხვდა, მაგრამ უპატრონოდ ცხოვრებას იქ ყოფნა ვარჩიე. ორი თვის მერე, სახლში დავბრუნდი, რადგან ილია დაქორწინდა და რძალმა მითხრა, ჩამოდი, ჩვენ მოგხედავთ, ერთად ვიცხოვროთო. დავთანხმდი და სახლში დავბრუნდი, მაგრამ ამის მერე დაიწყო ჩემი ჯოჯოხეთი: ცალკე ოთახში ვცხოვრობდი და იქ შემოჰქონდა ხოლმე რძალს საჭმელი. ყველაფერს უმს მაჭმევდნენ — კარტოფილი, მაკარონი, უცხიმო, უმარილო. მაჭმევდნენ ისე, როგორც ცხოველს. როდესაც ოჯახში სტუმარი მოვიდოდა, მის მოსაჩვენებლად მექცეოდნენ კარგად, რა გესიამოვნება, მობრძანდი, მიირთვიო, მაგრამ როგორც კი სტუმარი წავიდოდა, ძაღლადაც აღარ მაგდებდნენ. თურმე, ჩემი ჭურჭელი დანიშნული ჰქონიათ და ერთხელაც, დავინახე, რძალმა ჩემი ჯამი როგორ შეაგდო კამოდის ქვეშ, იატაკზე, ნაგავში. ეს ჩემმა შვილმაც შეამჩნია და შენიშვნა მისცა, მაგრამ ცოლმა უთხრა, საჭმელს რითიც მივუტან, იმით ჭამოს, თუ უნდა და თუ არა, შევიდეს თავის ოთახში, ეგდოს თავისთვისო. ჩემი ნათქვამი გულში ჩაუდია ცოლ-ქმარს — თურმე, არ უნდა მეთქვა, რომ ასე მექცეოდნენ და დამიწყო სიტყვიერი შეურაცხყოფა, რა პრეტენზიებს აყენებ, რა უფლება გაქვს, ჩემს ცოლს რომ ეუბნები, ეს არ მეჭმევა, ჯამია გასარეცხი, ეს უმია და ის მოსახარშიო. სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს ჩემს ოთახში შესვლა მოვასწარი, მაგრამ კარი შემომინგრია. ჩემი რძალი იდგა და მიყურებდა, როგორ მირტყამდა შვილი სახეში. წარბი გამისკდა, თვალში სისხლი ჩამექცა. როდესაც სახეზე ხელები ავიფარე, უფრო დამიშინა. მერე, როდესაც დავეცი, წიხლებით შემდგა. ცოლმა უთხრა, წარბი რომ გაუხეთქე, პატრულს გამოიძახებს და დაგიჭერენო. ამ საუბარში წამოვხტი და უკანა კარიდან გავიქეცი. შვილი გამომეკიდა, ყვიროდა და იგინებოდა, სად წახვედი, ყელი უნდა გამოგჭრაო. ამ დროს მეზობელთან ვიმალებოდი.

— არავინ მოგეხმარათ?

— არა, რადგან მას ყველა თავს არიდებს, თან ჩემი შვილი მთვრალი იყო. ამ ჩხუბის მერე, თბილისში წამოვედი.

— პოლიციას არ მიმართეთ?

— არა, აზრი არ ჰქონდა. მანამდეც მქონდა პოლიციაში დაწერილი განცხადება ჩემი შვილის მხრიდან ჩემზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. თბილისში რომ ჩამოვედი, ერთ-ერთ საავადმყოფოს მივაკითხე, სადაც გამოკვლევა ჩამიტარეს. ექიმმა ოფიციალური დასკვნა დადო, რომ მენჯი მქონდა გაბზარული, ხერხემლის ერთ-ერთი მალა კი გატეხილი იყო, ასევე, დისკი მქონდა ამოვარდნილი, სხვადასხვა არეში დაბეჟილობა მქონდა მიღებული. ამის შემდეგ მივმართე „ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციას“, საიდანაც თელავში გამგზავნეს, იქაა ჩვენი ოფისი და იქ მოგემსახურებიანო. ჩემამდე მოდიოდა ხმა, რომ შვილი მემუქრებოდა, ყელს ღორივით გამოგჭრიო. ჩემს მიერ საია-ში შეტანილი სარჩელი განიხილეს და განცხადებაც დამიწერეს, რაც თელავის პროკურატურაში გადავგზავნე. თელავის პროკურატურამ კი გურჯაანის პროკურატურას გადაუგზავნა. გურჯაანის პროკურატურამ ლაგოდეხის პოლიციაში გადაგზავნა წერილი. პოლიციაში არ დამიბარეს და მე თვითონ მივაკითხე. გამომძიებელმა დამკითხა, მოვუყევი, როგორ მემუქრებოდა შვილი. ამის შემდეგ გამომძიებელმა მითხრა, რომ თავისუფალი ვიყავი და მისთვის მეტი დეტალების მოყოლა საჭირო აღარ იყო. ეს არ იყო ჩემი შვილის მიერ ჩემზე განხორციელებული ძალადობის ერთეული შემთხვევა. ორი კვირა საგიჟეთშიც გამომამწყვიდეს იმ მიზეზით, რომ ვითომ, რძალს ვაბრალებდი სახლში გველები შემომიყრა, რის შემდეგაც იატაკი ავყარე და გველებს ვეძებდი. არადა, სინამდვილეში, რძალთან ერთად ავყარე ძველი, გაფუჭებული იატაკი, რათა შეგვერემონტებინა, მათ კი გიჟად გამომაცხადეს.

ორი კვირის მერე, საგიჟეთის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საავადმყოფოდან გავეშვი, რადგან სიგიჟის არაფერი მეტყობოდა...

ახლა თბილისის ქუჩებში დავდივარ და საავადმყოფოდან საავადმყოფოში ვინაცვლებ დასაძინებლად. ჩემი ინვალიდობის პენსია — 160 ლარი არაფერში მყოფნის. ჭუჭყიანი ტანსაცმლით დავდივარ და ხალხის მერიდება...

ვერც წარმოვიდგენდი, ასეთი სიბერე თუ მელოდა, მაგრამ არავინ იცის, ვის რა შეიძლება დაემართოს. ბინის დაქირავება მინდა, შეიძლება, მთლად მშიერი დავრჩე, მაგრამ ღამეს ქუჩაში მაინც აღარ გავათევ. ერთი პატარა ოთახიც მეყოფა, მაგრამ ვერ ვშოულობ.

— ამ დროის განმავლობაში, სამართლებრივი თუ სოციალური დახმარება არავისთვის გითხოვიათ?

— ჯანმრთელობის სამინისტროს, პროკურატურას მივმართე, პრეზიდენტ მარგველაშვილის სახელზეც მაქვს განცხადება დაწერილი, მაგრამ ამ დრომდე არავისგან რეაგირება არ მოჰყოლია. თბილისის მერიასაც მივმართე და ასე მიპასუხეს, სახლი შვილს თქვენი ნებით გადაუფორმეთ და ახლა რაღას ითხოვთ, ვერაფრით დაგეხმარებითო! ეკა ბესელიას სახელზეც დავწერე განცხადება, მაგრამ არც მისგან ყოფილა რეაგირება. როგორც ჩანს, ისინი ჩემი პრობლემით არც დაინტერესდებიან. ვითხოვ, ვითხოვ კი არა, ვიხვეწები მხოლოდ ერთ პატარა ოთახს, სადაც ჩემს სიბერეს გავატარებ მშვიდად და არა — ფიზიკური წნეხისა და მუქარის ფონზე, სადაც ყოველდღე არავინ მცემს და საგიჟეთში არ გამაგზავნის... თუკი ვინმეს შეეძლება, დამეხმაროს თუნდაც ტანსაცმლით ან საჭმლით, დიდი მადლობელი ვიქნები და ამ სიკეთეს ღმერთი დაუნახავს. ამ ქვეყანაში სამართლის პოვნის იმედი დავკარგე, მაგრამ კეთილი ადამიანების იმედი არ დამიკარგავს.

P.S. „ვერსია“ შეეცადა, აკაკი გოგოლაძის შვილის, ილია გოგოლაძის კოორდინატები გაერკვია და მისგან ოფიციალური კომენტარი მოესმინა, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. თუკი ილია გოგოლაძეს ექნება კომენტარის გაკეთების სურვილი, შეუძლია, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში დაგვიკავშირდეს.

მამა თეიმურაზ (სინესიოსი) სქემ-იღუმენი საბერძნეთში წირვას ქართულ ენაზე აღავლენს

„თვეში ოთხ სხვადასხვა ადგილას უცხო ენაზე წირვა ტარდება, ასეთი რამ საბერძნეთის ეკლესიას არ ახსოვს...“

ნინო ბაჯელიძე
„ვერსიისთვის“ საბერძნეთიდან

წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესია ათენში ერთერთი უძველესი და ყველაზე დიდი ტაძარია. ამ სასწაულმოქმედი წმინდანის სახელს მრავალი სნეულის განკურნება უკავშირდება. ადგილზე, სადაც წმინდა პანტელეიმონის ეკლესიაა აშენებული, ადრე მცირე ზომის საყდარი იყო. ეკლესიის მშენებლობას საფუძველი 1910 წელს ჩაეყარა, 1930 წელს კი, ათენის არქიეპისკოპოსის კურთხევა მიიღო. სწორედ ამ ეკლესიამ შეიფარა ათენში მცხოვრები ქართველი მრევლი. აქ, ყოველი თვის პირველ კვირას, მამა თეიმურაზი ქართულად წირავს. ათენში, სამშობლოსგან, ოჯახებისგან, მეგობრებისგან წლობით მოწყვეტილი ათასობით ქართველი ცხოვრობს. ისინი, ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო, მოკლებულნი არიან ხალას, ნორმალურ ურთიერთობებს... ამ ფონზე, მამა თეიმურაზის — სქემ-იღუმენ თეიმურაზ-სინესიოსის მოღვაწეობა, მათთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. წირვა-ლოცვის გარდა, მოძღვარი ყოველ ოთხშაბათს ხვდება მრევლს, ესაუბრება, მოუთხრობს წმინდანების ცხოვრების შესახებ, გულდასმით უსმენს და რჩევებსაც არ იშურებს.
მამა თეიმურაზი, „ვერსიას“ საბერძნეთში მყოფი ქართველების ცხოვრების შესახებ უამბობს.

— „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, — ბრძანებს წმიდა ილია მართალი. ეს მოწოდება ყველამ უნდა გავითვალისწინოთ: სტატიის ავტორებმაც და მკითხველმაც.

კარგი იქნება, თუ თქვენი გაზეთის მეშვეობით, მკითხველს სამშობლოს სიყვარული და ღვთის რწმენა გაუმძაფრდება... ჩემი საერო სახელი თეიმურაზ კალანდაძეა. 1955 წელს, თბილისში დავიბადე. 42-ე მათემატიკური სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავაგრძელე. თითქმის 10 წელი ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე. 1993 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაც დავამთავრე. 1999 წლიდან კი, საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდის სტიპენდიანტი ვარ. დავამთავრე ათენის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი და ასპირანტურის სრული კურსიც გავიარე. 2002 წლის 19 მაისს, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, დიაკვნად, ხოლო 2003 წლის 28 სექტემბერს მღვდლად მაკურთხა. 2007 წლის 11 ივნისს, საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდის წევრმა, არღოლიდის მიტროპოლიტმა მეუფე იაკობმა, საქართველოს პატრიარქის ნებართვით, ღვთისმშობლის დაუჯდომელის სახელობის მამათა მონასტერში აღმკვეცა ბერად და მეწოდა სახელი სინესიოსი — თეიმურაზი ბერძნულად სინესიოსს ნიშნავს, ამიტომ ქართველებისთვის თეიმურაზად დავრჩი, ბერძნებისთვის კი, სინესიოსი ვარ. მაქვს სქემ-იღუმენის ხარისხი.

— წმინდა პანტელეიმონის ტაძარში მსახურება როგორ დაიწყეთ?

— საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე მოსწავლე სტუდენტების კურატორი საბერძნეთის ეკლესიიდან, არქიმანდრიტი პროკოპი პეტრიდისი (ამჟამად ქრისტიანუპოლის ეპისკოპოსი) გახლდათ, რომელიც, იმავდროულად, იყო ათენის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრის წინამძღვარი. არაოფიციალური მითითებით, სტუდენტებს წირვაზე ამ ტაძარში უნდა გვევლო. ეს ყველაზე დიდი ტაძარია არა მარტო ათენში, არამედ მთელ საბერძნეთში და ამიტომ სასიხარულოა, რომ სასულიერო პირად გახდომის შემდეგ, ამ ტაძარში ვმსახურობ... მღვდლის უპირველესი მოვალეობა მრევლთან მუშაობაა. ყველაზე ურწმუნო ადამიანიც კი, დიდი გაჭირვების ჟამს, „ღმერთო მიშველე“ — წამოიძახებს, თანაც აუცილებლად მშობლიურ ენაზე. მიზნად დავისახე ქართულ ენაზე წირვის ჩატარების უფლების მოპოვება. დიდი მცდელობისა და შრომის შედეგად, მიზანს მივაღწიე და აი, უკვე 9 წელია, ათენის ყველაზე დიდ წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარში, ყოველი თვის პირველ კვირას, საღმრთო ლიტურგია ქართულ ენაზე ტარდება. წირვაში მონაწილეობს მეორე მღვდელიც საქართველოდან — მამა აბიბოს ტარიადისი, რომელიც შარშან პატრიარქმა არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა და აქედან გამომდინარე, ის გახდა პირველი მღვდელი. გვყავს ვაჟთა და გოგონათა მგალობელთა გუნდები, რომელთაც ნინო მესხიშვილი ხელმძღვანელობს. რადგან შემოსავალი, ფაქტობრივად, არ გვაქვს, ყველანი უანგაროდ შრომობენ. ყველას მადლობელი ვარ გვერდში დგომისათვის. ისინი, მართლაც, დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებენ. ყოველ ოთხშაბათ საღამოს, ტაძარში ვიკრიბებით და მრევლს კატეხიზმოს ვუკითხავ.

— რამდენად მრავალრიცხოვანია წმინდა პანტელეიმონის ტაძრის მრევლი?

— სტაბილურად, ყოველ წირვას, 500-600 კაცი ესწრება, რასაც ბერძნებიც სასიამოვნო ფაქტად აღიქვამენ. გურულებზე ხშირად ამბობენ, ტრაბახი უყვართო. ტრაბახი ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართველ მღვდლებში, ერთ-ერთი დიდი მრევლი მყავს. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ არა მხოლოდ მათ, არამედ სრულიად საქართველოს მიმართ. ამ ადამიანების სულიერ მდგომარეობაზე პასუხს მე ვაგებ და ვცდილობ, უკეთესი თუ არა, ისეთივე ქართველი მაინც დაბრუნდეს სამშობლოში, როგორიც წამოვიდა. საბედნიეროდ, ჯერ არ შემხვედრია ქართველი, ეთქვას, საქართველოში აღარ დავბრუნდებიო... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მდიდარი ქართველი საბერძნეთში ჯერ არ შემხვედრია. აქ ძირითადად, ქალბატონები არიან, რომლებიც ოჯახებში მუშაობენ. მწირი შემოსავლის მიუხედავად, მაინც მოვახერხეთ და დღეს, წმიდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარს ამშვენებს ორი ქართული დიდი ზომის ხატი: წმიდა ნინოსა და წმიდა ახალმოწამე გიორგი გურჯი-ივერიელის, რომელიც პატრიარქთან შეთანხმებით. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა მფარველად გამოცხადდა. გვაქვს ქართული მინანქრით მოჭედილი სახარება და ბედიის მონასტრისად წოდებული ბარძიმის სრული ასლი. წმიდა ნინოს ხატს კი, ამშვენებს ქართული მინანქრით გამშვენებული კანდელი. მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დიდ ქართულ საქმეში. საეკლესიო კანონებით, ნებისმიერი მორწმუნე ემორჩილება იმ მღვდელმთავარს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველანი, დროებით ვემორჩილებით საბერძნეთის ეკლესიას. სიამაყით ვამბობ, რომ ერთ-ერთი საპატიო ადგილი გვიკავია იმ დიდ ოჯახში, რომელსაც ათენის სამთავარეპისკოპოსო ჰქვია.

— ქართულ წირვას მხოლოდ წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძარში აღავლენთ?

— ყოველი თვის მეორე კვირას მივფრინავ კუნძულ კრეტაზე და იქ ვასრულებ ორ წირვას: ერთ თვეს ხანიაში, მეორე თვეს კი ირაკლიონში. ყოველი თვის ბოლო კვირას კი, საბერძნეთის ძველ დედაქალაქ ნავპლიონში მივემგზავრები და იქ ვასრულებ წირვას. ასე რომ, ვასრულებ ოთხ ქართულ წირვას. თვეში რომ ოთხ სხვადასხვა ადგილას რომელიმე უცხო ენაზე წირვები ტარდებოდეს, ასეთი რამ საბერძნეთის ეკლესიას არ ახსოვს. ამას მე ვაკეთებ და მიუხედავად იმისა, საკმაოდ ვიღლები, წირვას მაინც სიამოვნებით აღვავლენ.

საახალწლო დისკრიმინაცია

რატომ ხვდება თბილისის არაცენტრალური ქუჩები ახალ წელს განათების გარეშე და ვისი ინიციატივით რიგდება საჩუქრები უბნების მიხედვით

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

თბილისში საახალწლო სამზადისი პიკშია, თუმცა ნაციონალებისგან „სინათლის ქალაქად“ მონათლული მეგაპოლისის გარეუბნები და რამდენიმე ცენტრალური ქუჩა შობა-ახალ წელს საახალწლო განათების გარეშე შეხვდება. საახალწლო დისკრიმინაცია მხოლოდ განათებაზე არ ვრცელდება — თბილისში საახალწლო საჩუქრებიც უბნების მიხედვით რიგდება, რაც იმას ნიშნავს, რომ განსხვავებულ ნობათს მიიღებენ, მაგალითად, ვაკესა და ისანში მცხოვრები სოციალურად დაუცველები. მოსახლეობა უბნების მიხედვით საახალწლო სამზადისს აპროტესტებს.

დიმა: „ვინ დაადგინა, რომ გარეუბნებში ახალი წელს ნაკლებად იმსახურებენ? თუ ცენტრალურ უბნებს უნდათ საახალწლო განთება და უფრო მეტი საჩუქარი, ჩვენ ვითომ რატომ ვერ დავიმსახურეთ? არ მეგონა, გაჭირვება უბნების მიხედვით თუ არსებობდა!“

საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში იმაზე მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს, ვიდრე საახალწლოდ თბილისის განათებაა. ხალხის თქმით, განათებაზე დახარჯული თანხა იმ ადამიანებს უნდა მოხმარდეთ, ვისაც ამის საჭიროება აქვს.

ლილი: „განათებაზე მაგდენი თანხის დახარჯვას, სჯობდა, რამდენიმე ადამიანს მაინც დახმარებოდნენ, ახალი წელი შეემსუბუქებინათ ხალხისთვის. ისეთი ფასები და გაჭირვებაა, საერთოდ როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს, ისიც კი არ ვიცით“.

მოკლედ, თბილისელები მიიჩნევენ, რომ უბნების მიხედვით საახალწლო სამზადისს გამართლება არ აქვს ანუ არ შეიძლება, რუსთაველის გამზირი და სხვა ცენტრალური ქუჩები მორთულ-მოკუაზმული იყოს, გარეუბნები კი — ჩაბნელებული. „საახალწლოდ განათებით მაინც გაგეხარებინეთ, რამით ხომ უნდა ვიგრძნოთ ახალი წელი?!“ — ამბობენ გარეუბნებში მცხოვრებნი.

საახალწლო განათებაზე მნიშვნელოვანი პრობლემა თბილისში საჩუქრების განაწილება აღმოჩნდა, რომელიც ისევე, როგორც საახალწლო განათება, უბნების მიხედვით გადანაწილდა: სოციალურად დაუცველებისთვის საჩუქრის მიღება დამოკიდებულია საცხოვრებელ ადგილზე ანუ სოციალურად დაუცველები უბნების მიხედვით დაყვეს. თბილისელებს მიაჩნიათ, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოების დაყოფა არ შეიძლება და დედაქალაქის მთავრობა ერთნაირად უნდა ზრუნავდეს მოსახლეობაზე.

გოჩა: „თუ მე სოციალურად დაუცველი ვარ, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ უბანში ვცხოვრობ?! მაინც, გაჭირვებული ვიქნები, თემქაზე ვიცხოვრებ, ისანში თუ ვერაზე. როგორ შეიძლება, საზოგადოების დაყოფა უბნების მიხედვით? გაჭირვებული ყველგან გაჭირვებულია, შეიძლება, იმაზე მეტად მიჭირს, ვიდრე იმ ადამიანს, ვინც თბილისის ცენტრალურ უბანში ცხოვრობს, ან პირიქით. ვინ საზღვრავს, სად უფრო გაჭირვებული ხალხია?!“

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურმა „ვერსიას“ განუმარტა, რომ ახალი განათებებით მოირთო თბილისის ცენტრალური ნაწილი — რუსთაველის, ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის გამზირები, ასევე, კოსტავასა და თამარაშვილის ქუჩები და ავლაბრის აღმართი. რაც შეეხება ილუმინაციებს, რომლებიც გასულ წლებში გამოიყენებოდა, მათ წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირებზე, პეკინის ქუჩაზე, ფილარმონიისა და ტელევიზიის მიმდებარე კოსტავას ქუჩაზე, ვახუშტის ხიდზე, გლდანის შემოსასვლელში, მუხიანში, კერძოდ, დუმბაძის ქუჩაზე, ნაძალადევში – გადასასვლელი ხიდიდან კინო „საქართველომდე“, ბუშის ქუჩაზე, ქეთევან წამებულის გამზირსა და შარტავას ქუჩაზე დამონტაჟდა. ასევე, ილუმინაციები „ანგელოზები“ დაიდგა მარჯანიშვილის მოედანზე. მიმდინარე წელს თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი, რომელიც ქალაქში საახალწლო ილუმინაციებსა და აქსესუარების შესყიდვას ითვალისწინებდა. აღნიშნული ტენდერის ღირებულება 748 000 ლარით განისაზღვრა. ასევე, მერიამ ტენდერი გამოაცხადა ნაძვისხის შეძენასა და მონტაჟზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის შენებობის წინ განთავსდა და მისი ღირებულება 175 573 ლარია. ახალი განათებით მოირთო წმინდა გიორგის მონუმენტი. აღნიშნულ განათებაზე, მორთვასა და დემონტაჟზე დაიხარჯა 33 990 ლარი. საახალწლოდ, თბილისში ყინულის მოედანიც დაიდგა, რომლის ღირებულებაც 99210 ლარია.

მერიის პრესსამსახურში გაუკვირდათ, თუ რამ გამოიწვია წელს ამ საკითხისადმი მაღალი ინტერესი და აღნიშნეს, რომ ბევრ ქვეყანაში ისევე, როგორც საქართველოში, ძირითადად ირთვება ცენტრალური ქუჩები. რაც შეეხება საახალწლო საჩუქრებს, მერიის პრესსამსახურის განმარტებით, გამგეობები თანხებს თავად ანაწილებენ და იციან თავიანთი მოსახლეობის მოთხოვნები და საჭიროებისამებრ ყიდულობენ ხალისთვის საახალწლო საჩუქრებს.

P.S. მერიის ოფიციალური განმარტების მიუხედავად, გაზეთის გამოსვლის დღეს — 28 დეკემბრისთვის საახალწლო ილუმინაციები გარეუბნებში ჯერ კიდევ არ იყო დამონტაჟებული.

საქართველოში მშობიარეთა სიკვდილიანობის მაჩვენებლი საგანგაშოა

ექსკლუზიური ინტერვიუ გაერო-ს ბავშვთა ფონდის საქართველოს დირექტორ საშა გრაუმანთან

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საქართველოში უამრავ ბავშვს არასრულფასოვანი ბავშვობა აქვს. მძიმე სოციალურ ფონს ისიც ემატება, რომ ბევრი პატარა ე.წ. ინტერნატში იზრდება, თუმცა საბედნიეროდ, მათ დიდი ნაწილი, დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ფარგლებში, ან ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა, ან დროებით შვილობილობაშია. არსებულ სიტუაციაზე „ვერსიას“ გაერო-ს ბავშვთა ფონდის საქართველოს დირექტორი საშა გრაუმანი ესაუბრა:

— ე.წ. ინტერნატში 5000 ბავშვიდან მხოლოდ 80 დარჩა. ისინი ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები არიან. ეს უდიდესი მიღწევაა. ადრე ქვეყნის მასშტაბით, სულ 50-მდე ბავშვთა სახლი იყო, ახლა კი მხოლოდ ორია — თბილისის ჩვილ ბავშვთა და კოჯრის ბავშვთა სახლები. პირველში 54 ჩვილია, მეორეში კი — 24.

— ეს სტიგმაზე მეტყველებს?

— დიახ, მაგრამ ოჯახების ბრალიცაა. შშმ ბავშვები რომც იშვილონ, ქვეყანაში მორგებული სერვისები და ადაპტირებული გარემო არ არსებობს.

— თავად რეფორმას როგორ აფასებთ?

— რეფორმა, რომელიც 2005 წელს დაიწყო, გრძელვადიანი პროცესი იყო, რომელიც ბავშვების ოჯახურ მზრუნველობაში დაბრუნებას ისახავდა მიზნად. საბჭოთა დროის დიდი ზომის ინსტიტუციები ბავშვებს ოჯახურ გარემოს ვერ სთავაზობდნენ. ახლა ბევრი მათგანი ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა, რაშიც ხელი სახელმწიფომაც, რეინტეგრაციის გრანტების სახით, შეგვიწყო. ასევე, მთავრობამ მათ ჯანმრთელობის დაზღვევა გაუკეთა.

— რეფორმის ფარგლებში, საკუთარ დედ-მამას რამდენი ბავშვი დაუბრუნდა?

— 2000-ზე მეტი. იმ შემთხვევებში, როცა ეს ვერ ხერხდებოდა, ბავშვები დროებით შვილობილობაში გადაიყვანეს, ან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, სადაც 6-8-10 მოზარდი ე.წ. დედ-მამასთან ერთად ცხოვრობს. მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ საქართველომ შეძლო, გაცილებით სწრაფად გაევლო ჯერ კიდევ მიმდინარე რეფორმის ეტაპები, ვიდრე მისმა მეზობელმა ქვეყნებმა. მეორეს მხრივ, უნდა იყოს მყარი გარანტია, რომ, როცა ბავშვები ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდებიან, ნამდვილმა დედ-მამამ სათანადო მზრუნველობა გაუწიოს.

— ე.წ. დედ-მამაში რას გულისხმობთ?

— საქართველოში ორი მოდელია: ერთი პოლონურია, როცა ცოლ-ქმარი მიდის და მუშაობს, თითქოს ამ ბავშვების მშობლები არიან, შაბათ-კვირას კი მათ სხვები ენაცვლებიან და მეორე მოდელი, რომელიც გულისხმობს მშობლებს ცვლებში. ორივე მოდელის შემთხვევაში, ისინი ღამითაც რჩებიან ბავშვებთან.

— ამ მოზარდებიდან ობოლი რამდენი იყო?

— ძალიან მცირე ნაწილი. მთავარი მოტივი, რატომაც მათ აბარებდნენ, ეკონომიკური შეჭირვებაა. ამიტომაც მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს გაეწია დახმარება ამ ინსტიტუციებისთვის, რომლებსაც უნდა გადაეცათ ეს დახმარება მშობლებისთვის, რომ მათ პატარების დაბრუნება შეძლებოდათ.

— იმ 5000-დან რამდენი ცხოვრობს დროებით შვილობილობაში და ეს რას გულისხმობს ეს ანუ ვის შეუძლია გახდეს დროებით მშვილებელი?

— დღეის მდგომარეობით, 1223 ბავშვი დროებით შვილობილობაშია, 338 ბავშვი კი ზემოხსენებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ცხოვრობს. ეს იგივე მინდობით აღზრდაა, როცა დროებითი მშობლები ხელფასს იღებენ.

სხვათა შორის, ახლა დღის წესრიგში ზემოხსენებული ორი დარჩენილი ინსტიტუციის დახურვა დგას, თუმცა მანამდე ბავშვთა ზრუნვის ჯეროვანი ალტერნატიული სერვისები უნდა შეიქმნას. ზოგადად, კარგია, როცა არსებობს ისეთი ტიპის სახლები, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვთა სოფელი, რომლებიც ზრუნავენ იმ მოზარდებზე, რომლებიც ვერ ბრუნდებიან ბიოლოგიურ ოჯახებში, თუმცა ეს საკმარისი არაა. საჭიროა, უფრო მყარი სახელმწიფო თანადგომა. მათ შორის, ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელსაც შეუძლია, ქვეყნის ეკონომიკას სარგებელი მოუტანოს. ამიტომ, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს უმაღლესი, ან თუნდაც, პროფესიული განათლება, რომ სრულფასოვანი მოქალაქე გახდეს, დასაქმდეს და ქვეყნის განვითარებაში ჩაერთოს.

— ოჯახებში დაბრუნებული ბავშვების საცხოვრებელი პირობების მონიტორინგი ხორციელდება?

— ეს მთავრობისა და სოციალური მუშაკების პრეროგატივაა, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ, აფასებენ თითოეულ ბავშვს, თუ რომელ გარემოში შეიძლება მათი განთავსება და ა.შ. შემდეგ, რა თქმა უნდა, მონიტორინგს უწევენ, თუ როგორ გრძნობენ თავს ამა თუ იმ ალტერნატიული მზრუნველობის ცენტრში. საჭიროა, სოციალური მუშაკები მეტად წახალისდნენ, ხელფასი გაეზარდოთ და ა.შ. ისინი ხშირად საკუთარი ჯიბიდან დებენ ფულს, როცა სხვადასხვა შორეულ სოფელში წასვლა უწევთ.

— ბიოლოგიურ ოჯახებს, რომლებმაც შვილები უსახსრობის გამო ჩააბარეს, ვინმე ეხმარება?

— დიახ, ეხმარება, თუმცა იმ ოჯახების ხელშეწყობაც უნდა იყოს, რომლებიც რისკჯგუფს მიეკუთვნებიან. ახლა მივადექით სხვა საკითხს, რასაც ძლიერი სოციალური დაცვის სისტემა ჰქვია, რომელიც ოჯახების მატერიალურ გაძლიერებას მოიცავს და მომავლის პერსპექტივაა.

— 2015 წელი რომ შევაჯამოთ, თქვენს სფეროში, საქართველოში მთავარი მიღწევა რა იყო?

— მგონია, რომ ეს იყო ორი დიდი რეფორმა, რომელიც სახელმწიფომ დაიწყო: პირველია სოციალური სარგებლიანობის სისტემის რეფორმა — მოგეხსენებათ, ისეთი ბავშვების, რომლებიც სიღატაკეში ცხოვრობენ ძალიან მაღალი მაჩვენებელია და ეს რეფორმა სწორედ მათი რიცხვის შემცირებაზეა ორიენტირებული. ორი წლის წინ, როცა მისი ინიცირება მოხდა, 77 000 ასეთი ბავშვი იყო, ახლა კი 25 000-ზე ნაკლებია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მეორე დიდი მიღწევა კი მცირეწლოვან მოსამართლეთა სისტემის რეფორმაა და პარლამენტმა შესაბამისი კოდექსიც დაამტკიცა. საჭიროა, რომ არასრულწლოვნებთან სპეციალიზებული პროფესიონალები — მოსამართლეები და ადვოკატები მუშაობდნენ. ეს სიახლე ძალაში პირველი იანვრიდან შევა.

— ცოტა თქვენსა და თქვენს შთაბეჭდილებებზეც მიამბეთ...

— საქართველოში პირველად, საქმიანი ვიზიტით, 2000 წლის დასაწყისში ვიყავი. მეორედ კი, სამი წლის წინ ჩამოვედი. გერმანელი ვარ. გასაოცარი ეკონომიკური პროგრესი დამხვდა, მაგრამ ქვეყანა ჯერ კიდევ ღარიბია. ადრე ტაჯიკეთში ვმუშაობდი. ჩემთვის შოკი იყო, როცა მსოფლიო ბანკის მონაცემი გავიგე, რომ სიღარიბის დონის თანაბარი მაჩვენებელი გაქვთ. ეს უსამართლობაა მაშინ, როცა საქართველოში საერთო ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ტაჯიკეთის იგივე მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. ასევე, შემძრა ზრდაში ჩამორჩენილი ბავშვების მაღალმა ინდექსმა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 11%-ია, ზოგ რეგიონში კი 20%-ს აღწევს. ძალიან დიდია განსხვავება ცხოვრების დონეს შორის თბილისსა და პერიფერიებში. ასევე, ძალიან მაღალია დედათა სიკვდილიანობის პროცენტი — 100 ათას ცოცხლად შობილ ბავშვზე 35 მშობიარე იღუპება მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი ევროპაში მხოლოდ 7-ია, სომხეთსა და აზერბაიჯანში კი — 25. ეს ქალთა მზრუნველობის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს, რაც შემდგომში, ნაყოფსა და მის მომავალ ცხოვრებაზეც აისახება.

უამრავი ბავშვი იღუპება ამგვარი პრობლემების გამო, როცა იოლად შეგვეძლო მათი სიცოცხლის გადარჩენა. ფოლიუმის მჟავისა და რკინის ნაკლებობა ქალებში ორი უმწვავესი პრობლემაა. მთავრობა ამ წინადადებების განხილვის პროცესშია. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩება ინსტიტუციები, რომლებსაც ლიცენზია არ აქვთ. ინსტიტუცია ბავშვის განვითარებისთვის კარგი არაა, თანაც კერძო დაწესებულებების შემთხვევაში, არ არსებობს ბერკეტი, რომლითაც მთავრობა მონიტორინგს მოახდენს.

დავით ნარმანია: „ვერეს ხეობიდან ახალი მაგისტრალი ლაგუნასთან მიმავალ გვირაბს დაუკავშირდება და პუშკინის ქუჩის ესტაკადა მოეწყობა“

დედაქალაქის 2016 წლის ბიუჯეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

დავით ნარმანიას განმარტებით, თბილისის 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი მნიშვნელოვანი და მსხვილი პროექტების განხორციელება, როგორიცაა ხიდების და გვირაბების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

„ხიდების და გვირაბების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 2016 წელს ბიუჯეტში 17 მლნ 800 ათასი ლარია გამოყოფილი. პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვერეს ხეობიდან ახალი მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება ლაგუნასთან მიმავალ გვირაბთან და პუშკინის ქუჩის ესტაკადის მშენებლობა“, — აცხადებს დავით ნარმანია.

2016 წელს დედაქალაქში 10 ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

დედაქალაქის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით, თბილისში 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღების მოწყობა დედაქალაქის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„2016 წელს თბილისში 10 ახალი საბავშვო ბაღი აშენდება, რისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 7 მლნ 800 ათასი ლარი გამოიყოფა“, — განმარტავს დავით ნარმანია.

დედაქალაქის საკრებულომ 2016 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტი 815 მლნ 900 ათასი ლარით განისაზღვრა და პრიორიტეტებად კვლავ ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ასევე გამწვანებითი ღონისძიებები რჩება.

„მარჯანიშვილის მეტროდან ზაარბრუკენის მოედნამდე და გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია დაიწყება“

დედაქალქის მერია ქალაქის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2016 წელს ბიუჯეტიდან 42 მლნ ლარს გამოყოფს.

დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით დაგეგმილია თბილისის ისტორიული უბნებისა და ნაგებობების რეაბილიტაცია-განვითარება.

„მათ შორის, გათვალისწინებულია მარჯანიშვილის მეტროდან ზაარბრუკენის მოედნამდე ტერიტორიის განვითარება და შენობების რეაბილიტაცია, რისთვისაც გამოყოფილია 19 მლნ ლარი“, — აცხადებს დედაქალაქის მერი.

მისივე თქმით, გუდიაშვილის მოედნის მიმდებარედ კონსერვაციის გეგმის ფარგლებში, აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება. ამ სამუშაოებისთვის 2016 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში 7 მლნ 700 ათასი ლარია გათვალისწინებული.

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქის საკრებულომ 2016 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ბიუჯეტი 815 მლნ 900 ათასი ლარით განისაზღვრა და პრიორიტეტებად კვლავ ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ასევე, გამწვანებითი ღონისძიებები რჩება.

„ვერსიანიუსი“

ელიტური პატიმრები

როგორ ხვდება აკრძალული ნივთები ციხეში

პატიმარი №0578

მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების მინისტრად კახი კახიშვილი დაინიშნა, პატიმრების მხრიდან იშვიათად ისმის პრეტენზიები. უფრო სწორედ, პატიმრები არ ჩივიან, რომ მათ სასტიკად ეპყრობიან ან აწამებენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცემა-ტყეპა აღარაა. პროფილაქტიკის მიზნით, პატიმრებს არცთუ იშვიათად წაუთაქებენ ხოლმე და ეს განსაკუთრებით გლდანის ციხეში შეინიშნება. სამედიცინო მომსახურებაც თითქოს გაუმჯობესდა, მაგრამ ეს სფერო სასჯელაღსრულებაში ისევ პრობლემატურია და პატიმრები მედიკამენტების არარსებობაზე ხშირად ჩივიან. და მთავარი თემა: მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, პარლამენტარები ე.წ. კოკაინის საქმეზე დაკავებული პირების შესაწყალებელ სიაში შეყვანას მთხოვდნენო, ამ პატიმრებისადმი ინტერესი გაიზარდა და გაირკვა, რომ ისინი სხვა პატიმრისგან განსხვავებით, პრივილეგიებით სარგებლობენ. უფრო ზუსტად კი, მათ საკანში ბევრი აკრძალული ნივთია. მართალია, აკრძალული ნივთების არსებობას ციხეებში სასჯელაღსრულების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს, თუმცა ფაქტია, რომ ე.წ. ელიტურ პატიმრებს აკრძალული ნივთები აქვთ. ისე არ გაიგოთ, თითქოს ისინი საკანში იარაღს ან ატომურ ბომბს ინახავენ და როცა სურთ, მაშინ გამოიყენებენ, თუმცა ციხეებში სანთებელაც აკრძალულ ნივთად ითვლება და ამის მიუხედავად, სანთებელა ასეულობით პატიმარს აქვს. მაშ ასე, როგორ ხვდება აკრძალული ნივთები გისოსებს მიღმა და რის სანაცვლოდ ხუჭავს თვალს ადმინისტრაცია?

დავიწყოთ დანით, პატიმარს რომ დანა აქვს, უკვე პრობლემაა და თან სერიოზული პრობლემა. დანა რამდენიმე ნივთის „გადაგვარებით“ კეთდება. პირველ რიგში, დიდი მადუღარათი, რომელსაც ძირზე მყარი ფოლადი აქვს დამაგრებული. როცა მადუღარა დაინვება, ფოლადს აცლიან, ჭრიან და ჯერ ასფალტზე ლესავენ, შემდეგ კი, ბასრი რომ იყოს, პირზე საპარსიდან ამოღებულ ბრიტვას უსვამენ. ტარის მაგივრობას, ასევე, საპარსის გადამდნარი პლასტმასი გასწევს და ისეთი დანა გამოდის, პურის დაჭრა კი არა, საჭიროების შემთხვევაში, ყურის მოჭრაც შესაძლებელია. ასეთი დანების არსებობა შესაძლოა, ადმინისტრაციამ ახლაც უარყოს, მაგრამ ისინი ყველა საკანშია, რადგან სხვანაირად პურს ვერ დაჭრი. მართალია, პურის გარდა რამდენჯერმე ასეთი დანა პატიმრებმა სხეულზეც დაუსვეს ერთმანეთს, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი ამბავია.

რაც შეეხება სანთებელას, ისინი პატიმრების ახლობლებს მოაქვთ და ადმინისტრაცია ჩვეულებრივად ატარებს. სანთებელები ძირითადად მაყურებლებს შესდით და შემდეგ ისინი ე.წ. კაი ბიჭებზე არიგებენ. სანთებელები შესდით ე.წ. კაზიოლებსაც, რომლებიც შემდეგ მას ყიდიან და ერთი სანთებელის ფასი ერთი ბლოკი სიგარეტია. ყველაფერ ამის სანაცვლოდ, ადმინისტრაციას მაყურებლები მომადლიერებული ჰყავს და ნებისმიერ დროს შეუძლია უთხრას, სანთებელებს აღარ შემოვუშვებო, „კაზიოლები“ კი ადმინისტრაციასთან ისედაც თანამშრომლობენ და „ხელიდან რომ არ წავიდნენ“, მათთვის გამონაკლისები არსებობს. სანთებელების გარდა, „კაზიოლები“ ახლობლებისგან შაქარსაც იღებენ. მოგეხსენებათ, შაქარი ზონაზე აკრძალულია, პატიმრებმა „ბრაგა“ რომ არ დაამზადონ. სამაგიეროდ, უშაქრო ყავა და ჩაი ბევრს არ უყვარს და იძულებულია, ასანთის ერთ კოლოფ შაქარში ორი კოლოფი „ვინსტონი“ გადაიხადოს. ჩათვალეთ, ზონაზე „ვინსტონი“ ეროვნული ვალუტაა, ყველაფერი სწორედ ამ სიგარეტზე იყიდება.

მთავარი აკრძალული ნივთი ე.წ. ნაჟოვკაა. ახლა იტყვით, ზონაზე „ნაჟოვკას“ რა უნდა, პატიმარმა გისოსი რომ გახერხოს და გარეთ გამოვიდეს, მერე რა ხდებაო, თუმცა დამერწმუნეთ, დღევანდელ ციხეებში გისოსის გახერხვით გარეთ გამოსვლა წარმოუდგენელია. და მაინც, რაში იყენებენ და რა ღირს „ნაჟოვკა“ ზონაზე? მისი ფასი ყველაზე სოლიდურია და 25 კოლოფი „ვინსტონი“ ანუ 50 ლარი ღირს. მას ძირითადად ხატების კვეთაზე მომუშავე პატიმრები ყიდულობენ, შემდეგ პირს ულესავენ და სწორედ ნაჟოვკით კვეთენ ხატებს. „კაზიოლების“ ხელში კი „ნაჟოვკა“ ჩვეულებრივად, გარედან ხვდება, ადმინისტრაციამ იცის, რისთვისაც სჭირდება „კაზიოლს“ ნაჟოვკა და მას, ასე ვთქვათ, დამატებითი შემოსავლის კეთების უფლებას აძლევს. სხვათა შორის, ურიგო არ იქნება, თუ ადმინისტრაცია ხატებზე მომუშავე პატიმრებს შესაძლებლობას მისცემს და ნამდვილ საჭრელებს შეუტანს, დღის ბოლოს კი გამოართმევს და შეინახავს. ასე „ნაჟოვკებიც“ გაქრება ზონაზე და ხატების კეთების ხარისხიც მოიმატებს.

შეძლებულ პატიმრებს, ისეთებს, როგორიც, მაგალითად, იგივე ანასტასია ზაუტაშვილია, სხვა პრივილეგიებიც მრავლად აქვთ. გარედან შეტანილი კოსმეტიკური საშუალებები, სავარცხელი, ფრჩხილის საჭრელი და ასე განსაჯეთ, ფრჩხილის ქლიბიც კი. შესაძლოა, სამინისტრო არ დაგვეთანხმოს, რა ფრჩხილის ქლიბიო, მაგრამ ეს ნივთები მხოლოდ ქალების ზონაში კი არა, კაცების ზონაშიც მრავლადაა.

სხვათა შორის, მინისტრად დანიშვნის შემდეგ, კახიშვილი „პრაგმატულად“ მიუდგა საქმეს და იმის გამო, რომ მაყურებლების არსებობა აღიარებული ჰქონდა, ამ კასტას არ შეეხო, მაქსიმალურად შეეცადა, მაყურებლები ეკონტროლებინა, მაგრამ ეს საქმე თავიდან თითქოს გამოუვიდა, მერე კი, რაც ქსანში პატიმრებმა ადმინისტრაციასთან მოთანამშრომლე მაყურებლები სასტიკად სცემეს, მიხვდა, რომ სხვა რამ უნდა მოეფიქრებინა. ამიტომ, აკრძალულ ნივთებზე მაქსიმალურად დახუჭა თვალი და შედეგიც მაქსიმალური მიიღო: პატიმრები ჩუმად და მშვიდად არიან და რაღაც-რაღაცების დაკარგვის შიშით, ყოფით პრობლემებზე იშვიათად წუწუნებენ.

რეალურად, პატიმრებისთვის აღნიშნული ნივთების მიწოდება ისედაც შეიძლება (მაინც აქვთ), მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონის მიხედვით, აკრძალულ ნივთზე (გააჩნია ნივთს) სასჯელის დამატებაა შესაძლებელი. მაგალითად, სანთებელაზე — ერთი წელი, დანაზე — ოთხი და ესეც გასათვალისწინებელია: „სროკის“ დამატების შიშით პატიმრები ბევრ რამეზე მიდიან და შესაბამისად, აკრძალული ნივთების სიიდან თუნდაც სანთებელის ამოღების შანსი ნაკლებია.

და კიდევ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პატიმრებს შორის დაძაბულობა მოიმატებს. აქეთ მინიმალური ამნისტიის მოლოდინი, იქეთ წინა ხელისუფლების (ახლისაც) პრაქტიკა, საარჩევნოდ ავტორიტეტული პატიმრების გაშვება და შეიძლება ითქვას, კახიშვილს ძალიან დაძაბული გრაფიკი ელის.

საზოგადოება

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

სპეციალური რეპორტაჟი ბავშვთა ემერჯენსიდან

მოგეხსენებათ, ჯანმრთელობაზე კარგი და საავადმყოფოში მოხვედრაზე უარესი არაფერია: ადამიანს ნერვიულობა მხოლოდ ავადმყოფის მდგომარეობაზე კი არა, მკურნალობის ხარჯზეც უწევს, რასაც, ე.წ. უფასო ჯანდაცვის მიუხედავად, ავადმყოფის ან მისი პატრონის ჯიბე ხშირად ვერ სწვდება. „ვერსია“ ბავშვთა საავადმყოფოს პაციენტების ბედით, მათი მდგომარეობისა და მომსახურების პირობებით დაინტერესდა და ერთი დღე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ემერჯენსში გაატარა.

იაშვილის კლინიკის ემერჯენსის განყოფილებას ვუახლოვდები, თუმცა რთულად თუ მიხვდებით, რომ აქ გადაუდებელი დახმარების განყოფილებაა — არც აბრევიატურაა შენობაზე და არც — სხვა ნიშანი. ერთ შუშებიან ჰოლს მივადექი... კედლებიდან მულტფილმების გმირები იღიმიან... ანაზდეულად, არასასიამოვნო განწყობა დამეუფლა და ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც შეუძლოდ ყოფილა, ან ოჯახის წევრი თუ ახლობელი გახდომია ავად.... სიცილი შემომესმა და მარჯვნივ გავიხედე: ადმინისტრაციის 3-4 თანამშრომელი ქალბატონი იცინოდა... საქმე სასაცილოდ არ ჰქონდათ 8 თვის ანას მამასა და ბებიას, რომლებიც მისაღებში, სკამზე ჩამომსხდარიყვნენ. ისინი ბავშვის ავადმყოფობასა და ავადობის მიზეზებზე საუბრობდნენ. საუბარში ჩავერიე. ანას ბებია, ქალბატონი მზია გვიყვება: **„ბავშვი გვყავს მოყვანილი, მაღალი სიცხე აქვს და გადასხმას უკეთებენ. ჩვენი ანა ისეთი საყვარელი და ისეთი ცოცხალი ბავშვია, რომ მგონი, მალე გაგვწერენ. ეტყობა, რაღაც ვირუსია, რომელიც ასე მოედო ქალაქს. რაც აქ ვართ, კიდევ რამდენიმე ბავშვი შემოიყვანეს სასწრაფო დახმარებით. ერთ მშობელს გადასახადთან დაკავშირებული პრობლემაც შეექმნა — სოციალურად დაუცველი ყოფილა, სასწრაფომ მოიყვანა და გოგო ნერვიულობდა, 60 ლარის გადახდას მთხოვენ და აბა, გადაუდებელი შემთხვევა რაღას ჰქვია. ვეღარ გამიგია, უფასოა თუ ფასიანი გადაუდებელი შემთხვევაო. ნერვიულობისა და ჩხუბის მერე, საბოლოოდ, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ გაარკვია, რომ იმ მცირეწლოვან ბავშვს უფასო მომსახურება ეკუთვნოდა. რომ არა ასეთი პროტესტი, ალბათ, ფულს გადაახდევინებდნენ. ჩვენ არაფრის გადახდა არ გვიწევს, რადგან დაზუსტებით ვიცით, რომ გადაუდებელ შემთხვევებში პაციენტის მომსახურება უფასოა, თან ჩვენი ბავშვი ერთი წლისაც არაა და ერთ წლამდე ბავშვების სამედიცინო მომსახურება, მით უმეტეს, უფასოა“,** — მიყვება ანას ბებია, ქალბატონი მზია, თუმცა როგორც გაირკვა, ანას ოჯახს 60 ლარის გადახდა მაინც მოუწევდა.

არადა, საინფორმაციო დაფაზე საავადმყოფოს დირექტორის ბრძანებულებაა გამოკრული, სადაც შავით თეთრზე წერია: **„შპს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორის ბრძანება ღირებულების განსაზღვრის შესახებ: საქართველოს მთავრობის №36, №165 და №177 დადგენილებების საფუძველზე, ვბრძანებ — 2014 წლის 23 ივლისიდან გადაუდებელი დახმარების, ობსერვაციისა და ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტში ემერჯენსის იმ პაციენტებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას, მომსახურების ღირებულება განისაზღვროს 60 ლარის ოდენობით, 2013 წლის №63 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად და ანაზღაურდეს პაციენტის მიერ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორი: შოთა ჯოგლიძე“.**

მართალია, თქვენი პაციენტი გადაუდებელ შემთხვევათა კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ მომსახურების თანხა შესაძლოა, მაინც გადაიხადოთ, — განუმარტეს ანას ოჯახის წევრებს ადმინისტრაციაში.

„ძალიან მაინტერესებს, რატომ ახდევინებენ ხალხს ფულს ტყუილად? გადაუდებელი შემთხვევა გადაუდებელი შემთხვევაა და ვერ გამიგია, რატომ უნდა გადავიხადოთ? ბავშვისთვის ყველაფერს გავიღებ, აქ სამოც ლარზე კი არაა საუბარი, მაგრამ რატომ უნდა ახდევინებდნენ ხალხს ფულს იმაში, რაც უფასოდ ეკუთვნის? მათ რაღა უნდა ქნან, ვინც სოციალურად დაუცველები არიან“, — აღშფოთება ვეღარ დამალა ქალბატონმა მზიამ.

ემერჯენსში კიდევ ერთი პაციენტი, 5 წლის ვანიკო სასწრაფო დახმარების მანქანით, ინტოქსიკაციის ნიშნებით შემოიყვანეს. როგორც ვანიკოს დედისგან, ქალბატონი ქეთევანისგან გავარკვიე, ბავშვს ცერებლარული დამბლა აქვს და ერთ-ერთმა მედიკამენტმა მოწამლა. ვანიკოს დედამ თავისი ოჯახის მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიამბო და აღნიშნა, რომ მკურნალობის ხარჯების დაფარვა კი არა, პურის ფულის შოვნაც ძალიან უჭირს: **„ჯერ გადასახადის შესახებ არაფერი უთქვამთ. ღმერთს მადლობა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პოლისები გვაქვს, თორემ საერთოდ ვერც გავბედავდი საავადმყოფოში მოსვლას. სანამ ადამიანი მძიმე მდგომარეობაში არ ჩავარდება, ექიმთან არც მიდის. იმხელა გადასახადებია, მერე ისეთი ფასები აქვს წამლებს, რომ მგონი, არც ღირს ექიმთან მისვლა, მაგრამ როცა საქმე ბავშვის ჯანმრთელობას ეხება, ადამიანმა უკან არანაირი გადასახადის გამო არ უნდა დაიხიოს. ბავშვს უყურადღებოდ ხომ არ მოვკლავ? მე რომ ვკვდებოდე, შეიძლება ექიმთან არც მივიდე, მაგრამ ბავშვს იგივე მდგომარეობაში ხომ არ ჩავაყენებ? მიუხედავად ამისა, ვიდრე გადაუდებელ შემთხვევამდე არ მივალთ, ექიმს ვერ ვაკითხავ, ჩვენი გაჭირვების გამო. ბავშვი ინვალიდია და იმედი მაქვს, ეს იხსნის გადასახადისგან, თუმცა გავიგე, რომ აქ ყველა 60 ლარს იხდის“.**

იმ დღეს იაშვილის კლინიკაში თანხა ერთ პაციენტსაც არ გადაახდევინეს, რაც, სავარაუდოდ, „ვერსიის“ იქ ყოფნამ განაპირობა... მოკლედ, პაციენტების უმრავლესობას ჰგონია, რომ 60 ლარი „სტავკაა“, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა გადაიხადოს და ის, ვინც „დაბოლდება“, აღნიშნულ თანხას იხდის. ეს კლინიკის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ ბრძანებას ეწინააღმდეგება, თუმცა ამ ბრძანებას პაციენტთა პატრონების უმრავლესობა არც კი კითხულობს.

სხვათა შორის, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, პაციენტებთან 18 წლამდე მნახველის დაშვება აკრძალულია, თუმცა ჩვენი იქ ყოფნისას, დაცვის თანამშრომელმა პაციენტების მოსანახულებლად არაერთი არასრულწლოვანი შეუშვა.

1. მოსამარ-თლის მოსასხამი
2. მოწყობი-ლობა ცხენის სამართავად
3. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა
4. კუდიანი ვარსკვლავი
5.გოლიათი მონადირე ბერძნულ მი-თოლოგიაში
6. კომ-პიუტერული პროგრამა
7. ცოლის დის ქმარი
8. წყვილი ორიანი კამათელზე
9.თეზევსის მეუღლე ბერძნულ მი-თოლოგიაში
10. ქალისა და ვაჟის წყვილი ჩოგბურთში
11. კაზა-კთა ჯარის მეთაური
12.სახოტბო შეძ. ქრისტიანულ ღვთისმსა-ხურებაში
13.სასუფრე ყურძნის ჯიში
14.იტალიური სპორტული ავტომობილი
15.ლოცვის წიგნების დასა-დები მაგიდა ეკლესიაში
16. განხეთქ-ილების ქალღ. ბერძნულ მითოლოგიაში
17.აზელილი ბოსტნეულის-გან მომზადე-ბული კერძი
18.არისტოკ-რატთა სპორტი
19. იორდანიის დედაქალაქი
20. პოლონე-ზით ცნობილი პოლონელი კომპოზიტორი
21. ლონდონის საქმიანი ცენ-ტრი
22. მიანმარის ძველი სახელ-წოდება
23. ვირ-ტუოზი მევიოლინე ვანესა ...
24. პორ-ტუგალიის დედაქალაქი
25.ტროას მეორე სახელი
26.ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
27. დიდი უნგრელი კომპოზიტორი
28. „საჩაიე“ ციტრუსი
29. შხამიანი გომბეშო
30. ჰოლივუ-დის მსაახიობი მიკი ...
31. ზღვის დიდი კიბო
32. ხრიკი, ფანდი
33. „ოქროს გასაღების“ პერსონაჟი
34. რომაელი მხედართ-მთავარი
35. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
36.„მფრინავ ჰოლანდიელად“ წოდებული ფეხბურთელი
37. ჩხ-ირისებური ბაქტერია
38. სამხრეთ აზიის მდი-ნარე
39.მომღერალი ... ვიკულე
40.ინდოელი მწერალი
41. წყვილჩლიქოსანი ძუძუმ-წოვარი ცხოველი, აფრიკული ანტილოპა
42. ბულგა-რული არაყი
43. ამერიკელი ნობელიანტი მწერალი
44.სიგრძის საზომი ერ-თეული ძველ საქართველოში
45. ზურიკელა ვაშალომიძის ძაღლი
46. მწერალი ... ტვენი
47. გერ-მანული კოსმეტიკური ფირმა
48.ფრანგული მდიდრული მოდის დიზაი-ნის სახლი
49. ტაჯიკ-ური ლიტ-ერატურის კლასიკოსი
50. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
51. ფერადი ქსოვილის ნაჭ-რებით შედგ. კომპოზიცია
52. მდინარე აფრიკაში
53. აშუღი ... გურჯი
54. სპორტული გაერთიანება
55. ქალაქი დასავლეთ რუსეთში
56. მაროს ქმარი „გა-რიგებაში“
57. ზურიკელა ვაშალომიძის ბებია
58. ადამიანის ფეხის ქვე-და ნაწილი
59.ალბერტო მორავიას ცნობილი რომანი
60. ცხენბურთი
61.იაპონური ქალაღდის ფიგურები
62. სოფელი წალენჯიხის რაიონში
63.ნიგვზიანი კერძი
64.ბიბლიური პატრიარქი
65. ჭაობის მცენარე
66. იაპონური თეატრის სახეობა
67.საფე-ზინფექციო ქიმიური ელემენტი
68. გარ-დაცვლილის სული ჩინურ მითოლოგიაში
69. აღ-მოსავლეთ მეზღვაურთა სლენგზე
70.ოქროს ურ-დოს სარდალი
71.კოვბოის ქამანდი
72. ფუტკრის სახლი
73. ამერიკელთა მეტსახელი
74. ლითონის თხელი ფურ-ცელი
75.შეძა-ხილი მსახიობის გამოსვლის გასამეორებლად
76.თამბაქოს დახვეული ფოთოლი მოსაწევად
77. ყველაზე დიდი თუ-თიყუში
78. მუსიკალ-ური გამის I ნოტი
79. მეორე საუზმე
80.ჯაყო ჯღივაშვილის ეროვნება
81. ტყის ვაშლი
82. იუპი-ტერის და თემიდას ასული
83. ნოტიო და ჩახურე-ბული ფქვილი
84. მწერალი ... ჩიანელი
85.კავ-შირი ქართულ ენაში
86. რძის პროდუქტი
87. აშშ-ის უდიდესი მდინარე
88. თმის მცენარეული საღებავი
89. ვულკანი ფილიპინებზე

სანტას საჩუქრად მამას სთხოვენ

როგორც კომპანია Research Now and K&A Brand Research-ს გამოკითხვებმა აჩვენა, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სათხოვარი, რასაც სანტა კლაუსი 3-დან 12 წლამდე ბავშვებისგან ისმენს, საჩუქრად მამის მიღებაა. საშობაო სურვილის რიცხვში „მამას საჩუქრად“ მეათე ადგილი უკავია, დედის ჩუქების სურვილი კი მხოლოდ 23-ე ადგილზე, სათამაშოების, კომპიუტერის, სხვადასხვა გაჯეტის, შინაური ცხოველის, დისა და ძმის შემდეგ აღმოჩნდა. ბავშვების უჩვეულო სურვილებს შორისაა დროის მანქანა და მსახიობი ევა ლონგორია. რაც შეეხება მოზარდებს 12-დან 17 წლამდე, საახალწლოდ მათ კომპიუტერის, ლეპტოპის, ანდროიდის თანამედროვე მოდელების მიღება სურთ. როგორც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, ბოლო პერიოდში დიდ ბრიტანეთში 40-44 წლის წყვილების დაშორებამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ალბათ სწორედ აქედან გამომდინარეობს ის შედეგიც, რომ ბავშვებს მშობლები ენატრებათ და საშობაო საჩუქრად სწორედ მამის მიღებას ითხოვენ.

სუდოკუ

ადვილი

2			1			8		
		8				5	3	
7							1	9
	7		8					
	4		6		2		7	
					3		4	
4	1							6
	5	7				2		
		6			5			4

სტანდარტი

	1				7			
6		4		2	1		7	
	5	3		6				
	4	8						2
3								6
1						8	4	
				1		5	6	
	7		6	4		2		1
			7				8	

რთული

5								
		6	9			3		2
3	2							
		5		7	3		4	
	3	2		5		1	8	
	8		4	1		6		
							7	1
8		1			7	5		
								4

ექსპერტი

	2		1		7			8
		9				2		
		5		6			3	
	5				2			
			9		8			
			3				7	
	1			8		7		
		7				4		
3			5		9		6	

ახალი 2016 წელი – როგორ შევხვდეთ ცეცხლოვანი მაიმუნის წელს



ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ბრდღვიალა დღესასწაულია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მას თავისებურად აღნიშნავენ, თუმცა, ის ყველგან სასურველი და საყვარელია. წინასაახალწლო ფაციფუცი სუფევს ყველგან — სახლებში, ოფისებში, მაღაზიებში... და ეს არც არის გასაკვირი, რადგან სწორედ ამ დღესასწაულს გვინდა შევხვდეთ ისე, რომ დიდხანს დაგვამახსოვრდეს. მაშ, როგორ შევხვდეთ ახალ, 2016 წელს, რა მოვამზადოთ და რა ჩავიცვათ, რომ მთელი წლის განმავლობაში წარმატება გვდევდეს თან.

დამდეგი ახალი წელი, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, წითელი ცეცხლოვანი მაიმუნისაა. ასე რომ, მოემზადეთ ხმაურიანი დღესასწაულისთვის, ფოიერვერკისთვის, მოულოდნელობისა და ბედის წარმოუდგენელი საჩუქრებისთვის, რადგან წელს ეს ყველაფერი ბევრი იქნება. ასტროლოგები მაიმუნის არც ერთ წელიწადს მშვიდად არ თვლიან — ასეთია ის, ტემპერამენტიანი და მოულოდნელობებით აღსავსე. თანაც ამ წლის სტიქია ცეცხლია. ასე რომ, გაისად მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ყველაფერი შეიძლება თავდაყირა დადგეს. ცეცხლოვანი მაიმუნის ასტროლოგიური წელი მხოლოდ 8 თებერვლიდან დადგება, მაგრამ სჯობს, ახალ 2016 წელს მაინც ამ სიმბოლოს გემოვნებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით შევხვდეთ. მით უმეტეს, რომ ეს პრიმატი მხიარულებისა და არაორდინარული მოვლენების მოყვარულია.

ახალი წლის შესახვედრად ადგილს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, დიდი მხიარულება იყოს. წელს ზედმეტად არაფერი ჩაითვლება — არც მასკარადი, შოუ რესტორანში, ნაცნობების და თუგინდ უცნობი ადამიანების დიდი კომპანია, როკკონცერტი თუ წვეულება ჰავაის სტილში — ყველაფერი მისაღები იქნება. ცეცხლოვანი მაიმუნის წლის შესახვედრად ნურც ფოიერვერკს, შუშხუნებსა და სხვა პიროტექნიკას დაიშურებთ. სახლის საახალწლოდ გასაფორმებლად კი შეგიძლიათ მყვირალა ფერები და ბრჭყვიალა საგნები გამოიყენოთ. ექსცენტრული მაიმუნისთვის ზედმეტი არაფერი იქნება. რაც მეტი მოსართავი იქნება, მით უკეთესი. ასე რომ, სიძუნწე და მინიმალიზმი წელს არ ღირს. წლის მთავარი ფერებია: წითელი და მისი ყველა ვარიაცია, სიცოცხლით სავსე ნარინჯისფერი, დახვეწილი იისფერი და იასამნისფერი. საახალწლოდ თავს ვერ აარიდებთ ოქროს ბრწყინვალებასაც. შავი და ლურჯი ფერებისგან კი, სჯობს, თავი შეიკავოთ.

საახალწლო წვეულებისთვის თავისტკივილად იქცევა, ხოლმე სამოსის შერჩევა. მცირე მინიშნებები ამ მხრივაც არსებობს. მაგალითად, ცისფერი სჯობს იმ ადამიანმა აირჩიოს, ვისაც დიდი ხანია ოჯახის შექმნა, მეორე ნახევრის პოვნა სურს. სწორედ ეს ფერი მიიჩნევა ოჯახის კეთილდღეობის, წარმატების, ოჯახური კერის სიმბოლოდ. ყვითელი ან იისფერი სამოსი ახალი წლის ღამეს შემოსავლების გაზრდასა და კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ. ნარინჯისფერი უფრო ახალგაზრდულია, ის სტუდენტებსა და აბიტურიენტებს შეეფერება. სწორედ ეს ფერია ცოდნისა და უნარების წარმატებით ათვისების სიმბოლო. წითელი, ყველამ იცის, რომ სიყვარულის ფერია. ამიტომ ვისაც ნამდვილი სიყვარულის პოვნა სურს, ახალი წლის ღამეს სწორედ წითელ სამოსში უნდა გამოეწყოს. სადღესასწაულოდ თეთრი ფერის ტანსაცმლის შერჩევა მათთვის სჯობს, ვინც დიდი ხანია ცვლილებებზე, ახალ მეგობრებზე, ახალ ცხოვრებაზე ოცნებობს.

რაც შეეხება საახალწლო სუფრას — ყველაფერი უნდა იყოს და ბევრი! მაგიდის გაფორმება კი სადღესასწაულო და კაშკაშა. გამოიყენეთ ყველაზე ძვირფასი ჭურჭელი, რაც გაქვთ, ყველაზე დახვეწილი მოსართავები, ყველაფერი საუკეთესო უნდა იყოს. ნურც ყველაზე უჩვეულო კერძების მომზადებას დაიზარებთ. არ დაივიწყოთ ახალი წლის სიმბოლოს ფერები — ეცადეთ, სუფრაზე წითელი და ნარინჯისფერი ფერები აუცილებლად გქონდეთ. წელს საახალწლო სუფრის კიდევ ერთი განსაკუთრებულობა ეგზოტიკური საკვებია. არა მხოლოდ ხილი, არამედ ნებისმიერი სხვა კერძიც. ვისაც გული უფრო ტრადიციული სუფრისკენ უწევს, წლის ფერები სჯობს, მათაც გაითვალისწინონ.

საახალწლო კულინარიული ტრადიციები

საახალწლო სუფრის მოწყობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ბოლოს და ბოლოს, შუაღამის ვახშამი ხომ ნამდვილი რიტუალია. საფრანგეთში სადღესასწაულო სუფრის ცენტრალური კერძი, ასევე მთელ ევროპაში ტრადიციული — შემწვარი ინდაური ან ბატია. გარდა ამისა, აუცილებელი ატრიბუტია საახალწლო ღვეზელიც. მასში რომელიმე მცენარის ერთ მარცვალს დებენ და ვინც მას იპოვის, „მარცვლის მეფე“ ხდება. ყველა მისი სურვილი კი დაუყოვნებლივ შესრულებას ექვემდებარება.

იაპონიაში საახალწლო სუფრა ყოველთვის მკაცრად სიმბოლურია: ბრინჯი ნაყოფიერებას განასახიერებს, თევზი — სიუხვეს ყველაფერში, ზღვის კომბოსტო — სიხარულს, შემწვარი წაბლი — წარმატებას საქმეში, პარკოსნები — კარგ ჯანმრთელობას, ხიზილალა კი ოჯახის კეთილდღეობას გულისხმობს.

ჩინეთში დიდი წარმატების მომტანად ითვლება ხამანწკები, ახალი თევზის კერძები კი სიმდიდრეს ნიშნავს. თუმცა, საახალწლო სუფრაზე მთავარი კერძი მაინც ჯიაოცზის პელმენია, რომელიც კრევეტების, ხორცისა და ბოსტნეულის ფარშითაა გამოტენილი. ასევე აუცილებელია სუფრაზე „რვა სიმდიდრის“ — ფაფის მიტანა, რომელსაც მარცვლეულის რამდენიმე სახეობისგან ამზადებენ. ამასთან, ჩინური ტრადიციით, აუცილებელია სუფრაზე არსებული ყველა კერძის გასინჯვა, სხვაგვარად ახალი წელი ბედნიერებასა და წარმატებას არ მოგიტანთ.

ჩეხეთში მიაჩნიათ, რომ ყველა საახალწლო კერძი ხორციანი უნდა იყოს — უძველესი დროიდან ხორცი ოჯახში ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლება. გამონაკლისია მხოლოდ შემწვარი თევზი და შოკოლადიანი დესერტი. პოლონეთში კი, პირიქით, სადღესასწაულო სუფრაზე ზუსტად 12 სახის კერძი მიაქვთ და არც ერთი ხორციანი არ არის.

რუმინეთში საახალწლო ვახშამი ერთგვარად მკითხაობას უკავშირდება: ღვეზელში მონეტებს, ბეჭდებსა და წიწაკას დებენ. ვისაც ღვეზელის მონეტიანი ნაჭერი შეხვდება, ეს სიმდიდრის ნიშანია, ბეჭდიანი — მალე დაოჯახებისა, წიწაკიანი კი იმის მინიშნებაა, რომ ახალ წელს დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ წარმატების მისაღწევად. მექსიკელების მთავარი საახალწლო კერძი კი წიწილაა შოკოლადში, რის დაგემოვნებასაც ყველას აუცილებლად გირჩევთ.



საინტერესო საახალწლო ტრადიციები

საკონდიტრო ნაწარმს აპენინელები თაფლითა და ყველა სახის კაკლით აკეთებენ.

ბულგარეთში ოჯახის წევრები და სტუმრები საახალწლო სუფრასთან იკრიბებიან. ყველა სახლში სამი წუთით შუქი ქრება და ამ დროს სუფრის წევრები სიბნელეში ერთმანეთს კოცნიან. ვინ ვის აკოცა, ეს უკვე საიდუმლოდ რჩება.

ნისლიან ალბიონზე ფართოდ არის გავრცელებული „ახალი წლის შეშვების“ ტრადიცია. ეს ერთგვარი ზღურბლის გადალახვაა ძველი ცხოვრებიდან ახალში. როცა შუაღამისას საათი რეკვას დაიწყებს, ბრიტანელები სახლის უკანა გასასვლელს აღებენ, რომ ძველი წელი გააცილონ, ბოლო ჩამოკვრაზე კი შესასვლელი კარი იღება ახალი წლის შესახვედრად.

მსოფლიოს ყველა ხალხს საკუთარი საახალწლო ტრადიცია აქვს, რომელსაც ისინი შეუცვლელად იცავენ ასწლეულების განმავლობაში. რაც შეეხება სუფრას, აქაც ყველა მათგანს რაღაც საკუთარი, განსაკუთრებული ნაციონალური გასამასპინძლებელი მოეძებნება. ყოველ კერძს, ამა თუ იმ ქვეყანაში ერთგვარი სიმბოლურობა ახასიათებს და ეს თაობიდან თაობას გადაეცემა.

ნიდერლანდებისა და ბელგიის თითქმის ყველა ოლქს საკუთარი საახალწლო ტკბილეული აქვს. ჰოლანდიაში ამ დღისთვის განსაკუთრებულ სასმელს ამზადებენ, რომელსაც „სლემს“ უწოდებენ. მას ცხელი რძისგან ამზადებენ, რომელშიც ასხამენ ჩაის, ყრიან ლიმონის ცედრას, დარიჩინს, მიხაკს, მუსკატის კაკალს. ფლანდრიაში სადილად ბრინჯს ხარშავენ, ხორცს წვავენ და პუდინგს აცხობენ. განსაკუთრებით მრავალფეროვანია საახალწლო ორცხობილებისა და ვაფლის ვარიანტები.

იტალიაში ახალი წლის ღამეს ტრადიციულად მტევანზე შემხმარ ყურძნის მარცვლებს ჭამენ, რომელიც ოქროს მონეტებს წააგავს. ლეგენდის თანახმად, ვინც მეტ ყურძენს შეჭამს, მით უფრო მეტს გამოიმუშავებს. გარდა ამისა, ეს ხილი ჯანმრთელობის, დღეგრძელობისა და კეთილდღეობის სიმბოლოა.

შოტლანდიელებს ჩვენებური მეკვლის ტრადიცია აქვთ — ოჯახის წარმატება თუ წარუმატებლობა იმაზეა დამოკიდებული, პირველი ვინ შეადგამს ფეხს სახლში. ითვლება, რომ დიდი წარმატება მოაქვს მუქთმიან მამაკაცს, რომელიც ოჯახში საჩუქრებით მიდის. ამ ტრადიციას შოტლანდიელები „ფერსტ ფუტინგს“ უწოდებენ. ახალი წლის ღამეს ისინი ქუჩაში ფისით სავსე კასრებს წვავენ — ეს ყველა წარუმატებლობისა და ცუდისგან გათავისუფლების სიმბოლოა, რაც კი გასულ წელს მოხდა. საერთოდ, შოტლანდიელებს ყველაზე მეტი საახალწლო ტრადიცია აქვთ, ვიდრე მთელ ევროპას ერთად. დღესასწაულის მთავარი ატრიბუტი ცეცხლია, ამიტომ აქაურები ახალი წლის ღამეს ნაღველსა და ბოროტ სულებს მრავალკილომეტრიანი მსვლელობით, ჩირაღდნებით ხელში, გიგანტური კოცონითა და სახლში დანთებული ბუხრით განდევნიან.

ზამთრის დღესასწაულები შობადობას ზრდის

სიყვარულის, რომანტიკისა და ვნების პერიოდად, ტრადიციულად, გაზაფხული ითვლება. შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ რაც შეეხება სექსუალურ ურთიერთობებს, აქ ლიდერი ზამთარია — დეკემბრის ბოლო-იანვრის დასაწყისი. სწორედ ამ პერიოდშია, თურმე, განსაკუთრებით მაღალი მოსახლეობის სექსუალური აქტივობა. ასეთი დასკვნები ადამიანის ბიორიტმების შემსწავლელმა ამერიკელმა სპეციალისტებმა გააკეთეს და ამ მოსაზრებას ისინი სპეციფიკური პროდუქციის გაყიდვების ზრდას უკავშირებენ. ახალი წლების პიკს, ბუნებრივია, სექტემბერში მაღალი შობადობაც უკავშირდება. ამერიკელ კოლეგებს გერმანელი და ბრიტანელი მეცნიერებიც ეთანხმებიან — მათთვისაც ცხადია, რომ სწორედ ზამთარი უნდა მივიჩნიოთ სიყვარულის პერიოდად. რასაკვირველია, აქ უკანასკნელ როლს არ ასრულებს დღესასწაულები. სასიამოვნო კომპანია და ურთიერთობის სიხარული ხელს უწყობს უფრო მჭიდრო კავშირის წარმოშობას. გარდა ამისა, ზედიზედ რამდენიმე დასვენების დღე მასტიმულირებელიც არის ადამიანებისთვის, რომლებიც წლის უმეტეს დროს სერიოზული პროფესიული თუ ფსიქოლოგიური დატვირთვის ქვეშ არიან.

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8		6			3			
9	5	4	8				2	
	2							8
4			2	6				5
				1				
6				4	9			3
5							1	
	3				1	4	5	6
			6			2		9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	5			2				
		2						9
			1	6		7		4
	2	5		1	8		7	
	7		2	3		8	1	
3		7		8	2			
5						6		
				4			3	

ᲠᲗᲣᲚᲘ

			4		7	2		
	6	3	8			7		
		4					9	
8				5		4	2	
	4		9		1		6	
	2	6		8				9
	7					5		
		2			8	6	3	
		8	5		2			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		1					5	
				3	6			
2			8			3		
				4		2		8
8		2		9		4		3
7		9		2				
		7			9			6
			4	8				
	9					7		

საუკეთესო საშობაო ბაზრობა

ევროპაში ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა საშობაო ბაზრობები. ტურისტულმა საიტმა European Best Destinations ტრადიციული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც „ბებერი ევროპის“ საუკეთესო ბაზრობები მოხვდა. „პირველობის პალმა“ სტრასბურგს ერგო, რომელსაც საფრანგეთში საახალწლო ვაჭრობების დამაარსებლად მიიჩნევენ. ბაზრობის მოწყობის ტრადიცია სათავეს 1570 წლიდან იღებს. იმ დროს სტრასბურგში პირველი საშობაო ბაზრობა მოაწყვეს „ყრმა იესოს“ პატივსაცემად. ძველი ტრადიციის თანახმად, ბაზრობაზე მისული ადამიანები საშობაო ნაძვისხის ქვეშ გაჭირვებულებისთვის საჩუქრებს ტოვებენ.

რეიტინგში მეორე ადგილზე გერმანულ ახენს ერგო. ყოველწლიურად, შობის წინ, ქალაქის მთავარი ტაძრის ახლომდებარე ქუჩები და რატუშის მოედანი ზღაპრულ ქალაქს ემსგავსება, რომელსაც ათასობით ტურისტი სტუმრობს. სამეულში მოხვდა ავსტრიის დედაქალაქიც. 1298 წელს ავსტრიელმა ჰერცოგმა ალბრეხტ I-მა ქალაქის მცხოვრებლებს ნება დართო, „დეკემბრის ბაზრობა“ გაემართათ. მას შემდეგ ვენაში პატივს სცემენ ამ ტრადიციას. მერიის წინ, მოედანი წლის ამ დროს მთლიანად ხელოსნებისა და მზარეულების განკარგულებაშია. სიის მეოთხე ადგილი ნიურნბერგს ერგო — აქ, უკვე დეკემბრის დასაწყისიდან ჰაერში ტრიალებს გლინტვეინისა და პუნშის, მოხალული ნუშისა და თაფლაკვერების მაცდუნებელი არომატი. საღამოობით ნებისმიერ მსურველს ძველი ქალაქის ქუჩებში ეტლით გასეირნება შეუძლია. საუკეთესო საშობაო ბაზრობების ჩამონათვალში, მეხუთე საფეხურზე აღმოჩნდა ფრანგული ლილი. მის მთავარ მოედანზე 80-ზე მეტ პატარა სახლს დგამენ, სადაც სუვენირებს, სამკაულებსა და ტრადიციულ საშობაო ტკბილეულს ყიდიან.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	3	4	1	5	9	8	6	7
1	9	8	7	6	4	5	3	2
7	6	5	3	2	8	4	1	9
5	7	9	8	4	1	6	2	3
8	4	3	6	9	2	1	7	5
6	2	1	5	7	3	9	4	8
4	1	2	9	8	7	3	5	6
9	5	7	4	3	6	2	8	1
3	8	6	2	1	5	7	9	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	1	2	8	3	7	6	5	4
6	8	4	5	2	1	3	7	9
7	5	3	9	6	4	1	2	8
5	4	8	1	9	6	7	3	2
3	2	7	4	8	5	9	1	6
1	9	6	3	7	2	8	4	5
4	3	9	2	1	8	5	6	7
8	7	5	6	4	3	2	9	1
2	6	1	7	5	9	4	8	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	4	8	3	2	1	7	9	6
1	7	6	9	8	4	3	5	2
3	2	9	7	6	5	4	1	8
6	1	5	8	7	3	2	4	9
4	3	2	6	5	9	1	8	7
9	8	7	4	1	2	6	3	5
2	6	4	5	3	8	9	7	1
8	9	1	2	4	7	5	6	3
7	5	3	1	9	6	8	2	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	2	3	1	9	7	6	5	8
1	6	9	8	3	5	2	4	7
8	7	5	2	6	4	9	3	1
9	5	8	7	4	2	3	1	6
7	3	6	9	1	8	5	2	4
2	4	1	3	5	6	8	7	9
6	1	2	4	8	3	7	9	5
5	9	7	6	2	1	4	8	3
3	8	4	5	7	9	1	6	2

მე-12 გვერდი: 1. ნესი; 2. სტრიტი; 3. ტაბორი; 4. „იზაურა“; 5. სურინამი; 6. ნაგანი; 7. სიტე; 8. აბზაცი; 9. ალონსო; 10. ტრიადა; 11. რეგატა; 12. აშკენაზი; 13. ობელისკი; 14. „ბოში“; 15. ურარტუ; 16. უბირი; 17. ნუნა; 18. ემსი; 19. რალი; 20. ასალი; 21. ისრიმი; 22. რეალ; 23. ლაერტი; 24. იენს სტოლტენბერგი; 25. რამაზი; 26. მონპანსიე; 27. ფანდური; 28. დრაკულა; 29. ოსირისი; 30. ამინ; 31. რურკი; 32. სტარტი; 33. სოლდაფონი; 34. ბზა; 35. ფრინტა; 36. ნარი; 37. ტერორი; 38. ალიმენტი; 39. ზუა; 40. სირ; 41. აბრისი; 42. ინსი; 43. ფილე; 44. დეკარტი; 45. გელათი; 46. ქლამიდია; 47. შო; 48. ბატატი; 49. სოს; 50; ელპიდე; 51. გურუ; 52. იორქშირი; 53. ედი; 54. სლალომი; 55. რიდე; 56. სე; 57. ლირა; 58. ლორენი; 59. ამტი; 60. არე; 61. ინინი; 62. ასი; 63. მარინა; 64. პა-დე-დე; 65. როლანი; 66. უთო; 67. მანეჟი; 68. უატი; 69. ილფი; 70. უნაი; 71. იანუსი; 72. დო; 73. შლიმანი; 74. ოე; 75. ემუ; 76. ოკა; 77. დღიური; 78. ელდა; 80. გი; 81. რკონი; 82. დრაჟე; 83. შეიხი; 84. სნო; 85. გირაგი; 86. გო; 87. ტოგა.

სექსუალური ქველმოქმედი სანტა-კლაუსი

კანადის ქალაქ ტორონტოს ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში უჩვეულო საქველმოქმედო აქცია დაიწყო — აქ მომხიბლავი ჭაღარაწვერიანი მამაკაცი გამოჩნდა, რომელთან სელფის გადაღებისთვის გადახდილ ფულს ცენტრის სტუმრები ქველმოქმედებისთვის გაიღებენ. სექსუალური სანტა-კლაუსის როლი მოდელმა პოლ მეისონმა მოირგო და მასთან ფოტოს გადაღება ერთიდან 10 ათას დოლარამდე ღირს. შთამბეჭდავი თანხის მიუხედავად, მიმზიდველ სანტას ვერც მუხლებზე ჩამოუჯდები და ვერც სურვილებს ჩაუთქვამ. ამ აქციიდან აგროვილი თანხა კი საქველმოქმედო ფონდებში, ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად გადაირიცხება.

საუკეთესო ადგილი ახალი წლის შესახვედრად

2015 წელიც მიიწურა და ბევრი ადამიანი ფიქრობს, სად და როგორ შეხვდეს ახალ წელს. ერთ-ერთმა ტურისტულმა საიტმა რეიტინგი შეადგინა, რომელშიც დღესასწაულის აღსანიშნავად საუკეთესო ადგილები დაასახელა. სიაში პირველი პორტუგალიური მადეირაა — ახალი წლის ღამეს აქ გრანდიოზულ ფოიერვერკ-შოუს აწყობენ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე სანახაობრივად ითვლება. 2006 წელს პიროტექნიკური სპექტაკლი მადეირაზე გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. რეიტინგში მეორე გერმანიის დედაქალაქია — ფოიერვერკი ბერლინშიც იქნება, ბრანდენბურგის ჭიშკართან კი ტრადიციული ლაზერული შოუ გაიმართება. ტურისტებს აქ ლუდის საუკეთესო სახეობით უმასპინძლდებიან, თვალს კი ცეცხლოვანი ცეკვები ახარებს. საახალწლო ტურისტული მიმართულებების სიაში სამართლიანად მოხვდა პარიზიც — ცეცხლოვანი შოუ ეიფელის კოშკზე შორი მანძილიდანაც ჩანს, შეყვარებულებს კი რომანტიკულ გასეირნებას სთავაზობენ სენაზე. რეიტინგის მეოთხე საფეხურზე აღმოჩნდა ლონდონი — ახალი წლის ღამეს ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს „ეშმაკის ბორბალი“, რომლის თავზეც ფოიერვერკი ანათებს. ამ შოუთი ტკბობა მსურველს ტემზაზე გასეირნების დროსაც შეუძლია. პოპულარობით სარგებლობს ბელგიის დედაქალაქიც — ბრიუსელში მუსიკა არ წყდება ახალი წლის ღამეს, ყველა ქუჩაში ცეკვავს და მღერის. ისლანდიაში თუ მოხვდებით, რეიკიავიკში შეგიძლიათ იხილოთ, როგორ ერწყმის ერთმანეთს საახალწლო ფოიერვერკის ცეცხლი და ჩრდილოეთის ციალი.

1. დიდი ტე-ვადობის სათ-ავსი ხორბლე-ულისთვის
2. მოტორიანი ველოსიპედი
3.მძინარე მზეთუნახავის სახელი
4. ბალტიის-პირეთის სახელმწიფო
5. მტკვრის უდიდესი შენაკადი
6. ხის პატარა მწვანე ბაყაყი
7. ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო
8. ზღვის სიგრძის გასაზომი ხელსაწყო
9. კოცონზე დამწვარი ფილოსოფოსი
10. გოეთეს შემოქმედების მწვერვალი
11. წერილის მოძველებული სახელწოდება
12. ოთახის დეკორატი-ული მცენარე
13. სამწლიანი ცხენების დღი
14. ჭაობის მცენარე
15.დაკოდი-ლი ცხენი
16.ოფელიას და ლაერ-ტის მამა „ჰამ-ლეტში“
17. ქართული ხალხური ზღაპარი
18. იაპონიის კუნძული
19.თურქული მაწონი
20. ივივეა, რაც მჯიღი
21. მაგარ-მერქნიანი ხემცენარე
22. ჩრდ. ციმბირში მცხოვრები ხალხი
23. მომღერალი ჯასტინ ...
24. „შავი“ კონ-ტინენტი
25. 2016 წლის სიმ-ბოლო
26. აჭარის დედაქა-ლაქი
27.წვრილ-მარცვლოვანი ყავის სახეობა
28. ბაღის სახელწო-დება ძველ ქართულში
29. პო-ლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე ...“
30.ინდოე-ლი ქალის ტრადიციული სამოსი
31.ყაზახეთის დედაქალაქი
32.სამაგიდო თამაში
33. სპილ-ბერგის უცხოპლა-ნეტელი
34. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
35. პერუს დედაქალაქი
36. გადა-ჭარბებული თავმოყ-ვარეობა
37.ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
38. „ყინული“ - ინგლისურად
39. უმაღლესი დანიშნულება, საპასუ-ხისმგე-ბლო როლი
40. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
41. ტროპი-კული ხვიარა მცენარე
42.ტროას ომის „მშვენ-იერი“ მიზეზი
43. ათოსის მსახური
44. უჯრედის ბირთვის ნაწილი
45.მდინარე ვოლგის სახელწოდება შუა საუკ.
46. პარაზიტი მწერი, მკბე-ნარი
47. არაკეთილ-ხმოვანება
48.კომპოზი-ციის შექმნა ფერადი ქსოვ. ნაჭრებით
49. „იუ-მორისტთა“ ქალაქი ბულგარეთში
50. გემის მდგომარეობა ქარის მიმართ
51. კვამლიანი ნისლი
52. მერაბ ელიოზიშ-ვილის „... მეზურნეები“
53.ძვირფა-სი ქვების წონის ერთეული
54. მადრიდის მუზეუმი
55.ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
56.შტანგის აწევის ერთ-ერთი ხერხი
57. ცნობილი ათენელი რიტორი
58. ნაპოლეო-ნის ერთ-ერთი მარშალი
59.ადამია-ნის ტანი
60.ზვიადაუ-რის სოფელი
61. ვეკაუშნიანი ქვეწარმავალი
62. საგანთა ერთობლიობა, შეხამება
63. ხელის საგრილობელი
64.ფრანგი კომპოზიტორი
65. ძველბერ-ძენი ფილო-სოფოსი
66. წილი საერთო საქმეში
67. ოდისევსის ლათინი-ზირებული სახელი
68. მდინარის ქვიანი ნაპირი
69.გრძელყ-ელიანი გოგრა
70. ჭედადი ლითონი
71. ჩრდილო-ეთის ირემი აშშ-ში
72. მადგას-კარზე მობი-ნადრე მტაც. ცხოველი
73. მრწამსი, მსოფლ-მხედველობა
74. ჰოლან-დიური ბვარების წინსართი
75. ტელეფო-ნის ერთ-ერთი გამომგო-ნებელი ალე-ქსანდერ ...
76. იპოლიტეს ქალიშვილი „მხიარულ რომანში“
77. კრემიანი ნამცხვარი
78. აშშ-ის შტატი
79. ყიულ ვერნის რომანის პერსონაჟი, „ნაუტილუ-სის“ კაპიტანი
80.სოფლუ-რი სახლი შვეიცარიის ალპებში
81. ერთაოზის მამა შერეკი-ლებში“
82. მოცარ-ტის ოპერა „... ჟუანი“
83. გამოჩე-ნილი ფრანგი ოკეანოლოგი ჟაკ-ივ ...
84. „თავი-სუფლების კუნძული“
85.საუდის არაბეთის დედაქალაქი ...-რიადი
86.სამოთ-ხის ბაღი
87.იაპონური ავტომარკა

სახლი ნაძვისხის სათამაშოებით ავსო

უელსში, ქალაქ სოუნსის მკვიდრმა სილვია პოუპმა საკუთარი სახლის მისაღების ჭერი მთლიანად დაფარა საახალწლო მოსართავებით. დაახლოებით 2530 სათამაშოს ღირებულება 41 ათასი დოლარია. ჭერის დეკორირებას სამი თვე დასჭირდა, ამიტომაც მან საახალწლო მზადება ჯერ კიდევ სექტემბერში დაიწყო. 73 წლის ბრიტანელმა სათამაშოების კოლექციის შეგროვება 1999 წელს დაიწყო და მას შემდეგ სახლს ყოველწლიურად ასე ალამაზებს. ქალს იშვიათი მოსართავები აქვს, მაგალითად, ლონდონის წითელი ავტობუსების, ნიუ-იორკის ტაქსის, თვითმფრინავების, ძველმოდური ტელეფონების, კოკა-კოლას ქილების სახით. სილვიას თქმით, იგი ყოველწლიურად დაახლოებით 200 დოლარს ხარჯავს ახალ სათამაშოებზე და კოლექციას ამდიდრებს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.